



2(21) 2009  
მარტი-აპრილი

## გერმანიის ქართული საზოგადოებრივი მუზეუმი

ქართული მარწვდინარება?

ქართული ქართველების რწმენა?

დამკრთით, ბეჭდისწერით,

ზღვაზე როთ, იძლევენ!



# ნოიამი:

საპირვედოვებლო ცეკვი	3
გეხმანის ქაშთული სათვისუომოს განცხალება	4
ცეხიდი ჰამბურგის	5-7
პოლუცია და ჩერიბი	7-9
ცაფირნალიზმი, გრობალიზაცია და კონფლიქტი თანამედროვე მსოფლიოში	9-13
ქაშთველი მხედართმთავრები მეფე ბაგაუ III და ლავით ილი ჩუქავადაცი	14-16
ალიგომა უფრისა ჩვენისა იქნო ქინსუები	16-18
ლომის სუმაშია ბუბა კიჯაბიძე	19-21
„ბევრი მხარე მოვისხე, მაგრამ საქაშთველოსთან ჯე მინახავს ახსაღ მხარე“	22-24
სიახლე გეხმანის უმაღლეს სასწავლებლებში	25-26
„პეტემინებ“ შემთხვევა	27-30
...და ქინსუ ალიგო მაშინ ჩემს გუდში	31

## სეზონების გავასტრო რეცეპტი

### ქოჩი ალექს!

მანიამ იაკოშინა,  
მანიამ მაელალინელი  
და მასთან ურთად წალომე.  
ქოჩი საფლავის მძიშვილი

მოსულან ნელიაცხეშტლითა,  
ჰათა ცცხონ ეჭამის ლილებული.  
მაერამ შემჩინთალან ჰომურევენ  
ლილ ლოლის ეალავორებული.

მყვანი აშელა სჩანა!... და მარჯვინი  
ჭავები კინძე მღეომარე.  
ცვეტანი სამოსელითა,  
ნათლითა მოსივცინარე.

მათ უყრნება: „რაღ შეგირთით?  
ანერლოზი კან მე მცველი.  
ან ეისაროდენ: ზე აღეა  
იქნო ნაზარეგელი.“

მენენაცხეშტლუთ აუგის  
სისარყლითა მყის გული  
და მიახალენ ჭრეუანას:  
„ალექს მუკლორთით ჯალცმული!

ალექს, კინც სისალი და ვთხია  
ახალი რტელი და ვთხია!  
ცა ლა ჭრეუანაც კასუხალ  
იძანის: „ჭრემარი ფარო!“

არარ წერითელი

# გერმანის ქართული სათვისტომო

## აცხადებს

საქართველოში, განსაკუთრებით დღევანდელ ურთულეს პოლიტიკურ სიტუაციაში, ალტერნატივა არა აქვს:

- სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ მდგრადობასა და მშვიდობას
- ქართველთ ერთიანობას საქართველოს გაერთიანებისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვაში
- კონსტრუქციულ, კომპრომისულ დიალოგს განსხვავებულად მოაზროვნე პარტიებსა და ხელისუფლებას შორის
- ხელისუფლების კონსტიტუციური გზით ცვლილების ერთხელ და სამუდამოდ პოლიტიკურ კულტურად დამკვიდრებას

ყველა ქართველს, ყველა პოლიტიკურ პარტიას მოგიწოდებთ, ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ნუ გაცვლით საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი გადარჩენის უწმიდეს მისიას. რამეთუ, სწორედ ბოლო საუკუნეების განმავლობაში საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე სახელმწიფოებრივი გადარჩენის პრობლემა დგას და გადარჩენისათვის ბრძოლა ახლა შევიდა ერთ-ერთ ყველაზე უფრო უძრავეს და გადამწყვეტ ფაზაში, ვინაიდან მტერნი უფრო მეტად არიან დახელოვნებულნი და ელიან საქართველოს სახელმიწფოებრივ არამდგრადობას.

**გერმანიის ქართული სათვისტომო**

მიუნხენი, 5 აპრილის, 2009 წელი

### ნიკილი ჰამბურგიდან

#### ვის ესპრინ ისინი?

ძვირფასო თანამემამულებო, დღეს ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ ძალა დაძაბულობის დონემ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. შექმნილი მდგრამარეობიდან გამომდინარე, საზღვარგარეთ მყოფმა ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებმა მიზანშეწონილად მიზინიერ მოგმართოთ თქვენ — ქართველ ხალხს, სრულიად საქართველოს მოსახლეობას. გვინდა შეგახსენოთ, რომ სამოქალაქო კატაკლიზმების დროს დარტყმის მთავარი ობიექტი ყოველთვის უბრალო მოსახლეობაა. ამას ნათლად გვიდასტურებს ჩვენი ქეყნის უახლესი ისტორია, რომელმაც თავის დროზე უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ამჟამად, აღნიშნულ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე არავინ იღებს, თითქოს არაფერი მომხდარა. ასეთია ძალადობის ბუნება. თავის მხრივ, დაუსჯელობის სინდრომი, ძალიან მწვავე ბაცილაა. საზოგადოების პასიურობის შემთხვევაში, ჩვენს სინამდვილეში, მისი ხელახლი გაცოცხლების ყველა პირობა არსებობს. ღმერთმა დაგვიფაროს, წარსულის გამეორებისაგან, თორებ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამ უბედურების ორგანიზატორები პილატესავით ხელებს დაიბანენ და განზე გადგებიან. საბოლოო ჯამში, დამარცხებული ერი და ქვეყანა დარჩება.

ცნობილია, რომ სამოქალაქო დაპირისპირება სპონტანურად არასოდეს წარმოიშობა. მას აუცილებლად სჭირდება შესაბამისი აგრესიული ფონი, რომელსაც ძირითადად, როგორც წესი, პოლიტიკოსების მხრიდან დაშვებული მძიმე შეცდომები ქმნის, რაც ჩვეულებრივ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების იგნორირებაში გამოიხატება.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს მასმედიის უარყოფითი როლი ამ საქმეში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენთან, სიტყვის თავისუფლება ზნეობრივი პასუხისმგებლობის იგნორირების ხარჯზე მკვიდრდება. უდავოა, რომ ეს ყველაფერი, საბოლოოდ გაულენას ახდენს მოსახლეობის სულიერ განწყობაზე, რაც თავის მხრივ, აზიანებს

და განუხრელად არყვეს ახლად ფქადგმული სახელმწიფოს საფუძვლებს.

საქართველოში, ნებატიური პოლიტიკური კლიმატის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს აგრეთვე მოქალაქეთა არასაკმარისი სახელმწიფოებრივი აზროვნების დონე. მწერლის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ისტორიული უკუდმართობის გამო, ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში საძოვარზე მიშვებული ნახირის მდგომარეობაში ვიყავით, შესაბამისად გაჩნდა ვაკუუმი. ამ ვაკუუმის შესავსებად მთელი ერი უნდა ირჯებოდეს, განსაკუთრებით, მისი პოლიტიკური აგანგარდი, მაგრამ რეალობა გვიჩვენებს, რომ ეს ავანგარდი ძირითადად ურთიერთშორის ანგარიშსწორებითა და სახელისუფლო მარათონში წარმატებების მოპოვებისთვის ზრუნვით არის დაკავებული.

ასეთ დროს, მოსახლეობას სრული უფლება აქვს გზაცდებილებს გარკვევით განუმარტოს — თავი დაანებონ ხალხის სახელით სპეცულაციას და ერთხელ და სამუდამოდ შეიგნონ, რომ მათ ნდობის მანდატი ეძლევათ არა ქეყნის ნგრევისა და ახალ-ახალი სისხლიანი ბატალიების მოსაწყობად, არამედ აღმშენებლობისა და მშვიდობის დასამკავიდრებლად.

არავინ ამტკიცებს იმას, რომ ხელისუფლება შეუცდომელია, უნაკლო ხელისუფლება არსად არ არსებობს, ეს უბრალოდ ალოგიკურია. მაშინ, რა საჭირო იქნებოდა საერთოდ განსხვავებული აზრი და ოპოზიცია? ჩვენს შემთხვევაში, მთავარია შევიგნოთ, რომ ვცხოვრით არა უკვე დემოკრატიულ ქვეყანაში, არამედ ვაშენებთ მის საფუძვლებს. და, ეს ყველაფერი ხდება მტრული გარემოცვისა და ქვეყნის შიდა დაპირისპირების პირობებში. ასეთ ვითარებაში, შეცდომებისგან დაზღვეული ვერავინ იქნება. ეს არის როგორი, მტკიცნეული რეალობა, რომლის დროსაც ყველაფერი არ ხდება ისე, როგორც ჩვენ გვინდა. არსად, ასეთი რამ არ მოხდარა და ამ მხრივ ჩვენ გამონაკლისები ვერ ვიქნებით. ზოგიერთი პოლიტიკოსის ამბიცია, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდგ

მოხდება დემოკრატიულ რელსებზე სახელმწიფო მანქანის სწრაფი და უმტკივნეულო გადაწყობა, ან უკიცობის ბრალია, ან წმინდა წყლის დემაგოგიაა, რასაც დაუყოვნებლივ იმედგაცრუებული ხალხის მტკივნეული რეაქცია მოჰყებაა. ამასთან, რადგანაც დემოკრატიული აღმშენებლობის გზას ვადგავართ, ურიგო არ იქნებოდა გაგვეთვალისწინებინა, რომ თუ გვინდა, სწორი დამოკიდებულება გამოგვიმუშავდეს პროგრესული სახელმწიფო სისტემისადმი, მაშინ არ უნდა მოვახდინოთ მისი იდეალიზაცია. უბრალოდ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ იგი უკეთესია უარესთა შორის.

აუცილებელია ვიცოდეთ, რომ დემოკრატია თვითი არსით, არ არის რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მოკოვებული და დამკვიდრებული საოცნებო საზოგადოებრივი მდგომარეობა, რაც ადამიანებს უზრუნველი ტკბობის სანუკვარ შესაძლებლობებს სთავაზობს. პირიქით, ეს არის აქტიური პროცესი, რომელიც მუდმივი ძალისხმევით უნდა შენარჩუნდეს. ალბათ, ამ მიმართულებით საქართველოს მოსახლეობის მწირი ინფორმირება არის მიზეზი იმისა, რომ ბოლო დროს, ჩვენთან აშკარად ფქს იკიდებს დასავლური ღირებულებებისადმი ნიკილისტური და სკეპტიკური დამოკიდებულება. ხაზგასასმელია ისიც, რომ ნამდვილად შეინიშნება ზოგიერთი პოლიტიკოსის ლია, თუ ფარული ზრახები საგარეო პოლიტიკის კურსის რუსეთის სასარგებლოდ შესაცვლელად.

წარსულისა და დღევანდელობის ზედაპირული ანალიზიც ცხადყოფს, რომ რუსეთს მეზობლური და მეგობრული ურთიერთობა საქართველოსთან არასოდეს ჰქონია. იგი ჩვენთვის, ერთადერთი ქვეყანა მრავალ დამპყრობელთა შორის, რომელმაც სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებელი საეკლესიო ავტოკეფალია გაგვიუქმა. არაფერს გამბობთ 1921 წლის ინტერვენციაზე, მომდევნო ცხრა მარტებზე და აპრილებზე, უამრავი ადამიანის შეწირულ სიცოცხლეზე. გავიხსენოთ ისიც, თავის დროზე, როცა ლენინს დასჭირდა, ჩვენი ტერიტორიების თურქეთისთვის ჩუქება მოინდომა, ხრუშჩოვის პერიოდში კი, მასიურ გადასახლებას ძლიერ გადავურჩით.

უკანასკნელი ომი, რომელიც ჩრდილოელმა მეზობელმა თავს მოგვახვია, თავისი წანამდვრუებითა და შედეგებით იყო ბარბაროსის და წრეუადასული აგრესის ნამდვილი გამოვლინება ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ნუთუ ეს შეზღუდული მაგალითებიც კი, საკმარისი არ არის იმისათვის, რომ საბოლოოდ გავერკვეთ იმაში თუ ვინ არის ჩვენი მტერი და ვინ მოყვარუ? ნუთუ ერთხელ და სამუდამოდ ვერ უნდა შევიგნოთ, რომ რუსეთს არც ისტორიული მენტალიტეტი და არც შესაბამისი

სახელმწიფო იდეოლოგია არ გააჩნია იმისათვის, რომ მისი მფარველობის ქვეშ მყოფმა საქართველომ სახელმწიფოებრივი, ან მეზობლის სტატუსი შეინარჩუნოს?

მარტივი, ყოფითი ჰქონილი მონებთან არც მეგობრობენ და არც მეზობლობენ. საამისოდ მყარად უნდა იდგე ფქზე და შენს ქვეყანას შენ უნდა ჰატრონობდე. ამიტომ, დასავლეთთან კავშირს ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. ვინაიდან, მხოლოდ ამ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში არსებობს საქართველოს, როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე, საერთო ეროვნული ინტერესების რეალიზაციის შესაძლებლობები. რა თქმა უნდა, სასურველი მიზნის მიღწევა ადგილად არ ხდება, მაგრამ მისი ხორცებს პოტენცია ნამდვილად სახეზეა. მთავარია, იყოს ერთიანი ნება და მიზანდასახულობა. დღეს, სწორედ ეს არის ყოველი პოლიტიკური პარტიისა, თუ ორგანიზაციის სამოღვაწეო ამოცანა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენთან უჩვეულო რამ ხდება... დავდგურთ და მსოფლიოს ვუმტკიცებთ, რომ რუსეთის თავდასხმა საქართველოზე ჩვენი ბრალია, რომ ჩვენ ნატოში მისაღებად მზად არ ვართ. გაიგონებთ გასაოცარ ფრაზებსაც, მაგალითად ასეთს: „კი, დაგვიტად რუსეთმა, მაგრამ, იგი მაინც ტოლსტიოსა და დოსტოევსკის ქვეყანა“. აქ კომენტარი ალბათ ზედმეტია, მაგრამ მაინც, ხალხნო! დოსტოევსკები და ტოლსტოები წესით, ზარბაზნების არ უნდა ისროლენენ და თუ ამასა კეთებენ, ხომ უნდა ვიკითხოთ ვის ესვრიან ისინი? რუსთაველს, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონს თუ ილიასა და აკაკის? მადლობა ღმერთს, ასეთი აზრები ჩვენში მოარულ ხასიათს არ ატარებს, მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკია, მონობამაც იცის შეჩვევა. ამის გარკვეული სიმპტომები კი, საქართველოში, სამწუხაროდ, შეინიშნება. ამიტომ, ურიგო არ იქნება, ზოგჯერ ერთმანეთს შევახსენოთ, რომ ერი ისტორიის უკუღმართობის გამო, შეიძლება ჩაგრულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, მაგრამ სანამ მას შეგნებული აქვს თავისი ტრაგედია და აქვს პოლიტიკის გრძნობა, მისი სასიცოცხლო აქტივობა სახეზეა და მომავლის პერსპექტივაც ისახება. საწინააღმდეგო მდგომარეობა იმედის საბოლოო წარხოცეას ნიშნავს.

ჩვენ ახლა ისტორიის გზა-გასაყარზე ვდგავართ და ფურადღების მოღენების უფლება ნამდვილად არა გვაქვს. უკან დაბრუნება სახელმწიფოებრივი სიკვდილის ტოლფასია, რასაც კანონზომიერად მოვვება საერთო განადგურება.

სწორად არის ნათქვამი, ყოველთვის საკუთარ შეცდომებზე მხოლოდ სულელები სწავლობენო, ამიტომ, ასეთ მდგომარეობაში, რომ არ აღმოგჩნდეთ საჭიროა დროულად მივწვდინოთ ჩვენი ხმა იმ

პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ყოველგვარ დიალოგში მონაწილეობის მიღებაზე უარს აცხადებენ. ჩიხიდან გამოსვლის სხვა შესაძლებლობა კი ნამდვილად არ ჩანს. უალტერნატივო დიალოგზე ლაპარაკი, რომელიც ოპოზიციის მხრიდან გაისმის, მორიგი ცინიზმია იმ ხალხისადმი, რომლის „სიყვარულში” ეს უკანასკნელი ერთმანეთს თავგამოდებით ეცილებიან. მათ პირდაპირ უნდათქან, რომ დღეს, საქართველოში, არავითარი ობიექტური მოტივაცია ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლისთვის არ არსებობს. მიუხედავად ცალკეული ხარვეზებისა, სახელმწიფოს აღმშენებლობის გზაზე უნიშვნელოვანესი ნაბიჯებია გადადგმული. ამის არ დანახვა არის სრული სიბეჭე და სიძულვილით

თვითდაბრმავების ნიშანი. ნურავინ მიეცემა იმის ილუზიას, რომ ამ ნიშნით ხელისუფლებაში მოსული ადამიანები სიყვარულს, სიმშვიდესა და სამართლიანობას დაამკვიდრებენ. ამიტომ, ამ ეტაპზე, ჩვენთვის მთავარია, არა სააკაშვილის, ან მისი ხელისუფლების გადარჩენის საკითხი, არამედ იმ პრინციპების უგულებელყოფის არ დაშვება, რომელზედაც პირდაპირ არის დამოკიდებული ქართული სახელმწიფოს არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნგრევისა და თვითნებობის ინერცია, რომელიც ზეიად გამსახურდიას დამხობის პერიოდიდან მოდის პერმანენტულ ხასიათს მიიღებს, რასაც გარდაუგალად მოჰყვება ჩვენი მომავლის საბოლოო კრახი.

## პოლიტიკა და რეალიზაცია

საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში ყველაზე სამწუხარო ფაქტი ის არის, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებით თითქმის ორი ათეული წლის შემდეგაც, ჩვენში კვლავ განაგრძობს არსებობას თითქმის ყველა ის მითი, რომლის შექმნაზეც სხვადასხვა პერიოდში ასე ზრუნავდა რუსეთი.

მათ, ვინც საბჭოთა ეპოქაში აღვიზარდეთ, კარგად გვახსოვს, რომ მართალია კომუნისტები აღიარებდნენ ცარიზმის მიერ ჩადენილ მრავალ დანაშაულს, მაგრამ გამუდმებით ცდილობდნენ ჩვენში იმ იდეის დამკიდრებას, რომ ერთმორწმუნე რუსეთიან ბედის დაკავშირება უდაოდ დადებითი ფაქტი იყო საქართველოსთვის.

ეს მითიც დღემდე ცოცხალია და უამრავ ჩვენს მოქალაქეს გულუბრყვილოდ სკერა, რომ მართლმადიდებლობა რუსეთს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს, როდესაც საუბარი ჩვენს საგარეო ორიენტაციას ქვება.

ფაქტია, რომ დღემდე ვერ მოხერხდა მოსახლეობამდე იმ ელემენტარული ისტორიული გამოცდილების მიტანა-გაზიარება, რომ ჩვენსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში ყველაზე არასასურველი და სახიფათო სწორედ რუსეთის „მართლმადიდებლობა“ გახლდათ და რომ რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ სხვა ხალხებთან შედარებით სწორედ ქართველები აღმოვჩნდით ყველაზე დაუცველ და უმწეო მდგომარეობაში.

როდესაც ჩვენი არისტოკრატია ერთმანეთს სპარსული ენისა და კულტურის ცოდნაში

ეჯიბრებოდა და ამ კულტურას უბრალო ხალხშიც ისე პქონდა ფესვები გადგმული, რომ თურმე ყველგან გაიგონებდით ზურნა-დუდუკის ხმას, როცა ქართველ მეფეს „სპარსული ენის მუსიკობა“ ხელში კალამს აღებინებდა, ეროვნულობის შენარჩუნების უმთავრესი მიზეზი სწორედ სარწმუნოებრივ სხვადასხვაობაში უნდა ვეძიოთ.

ის ვინც ცდილობს, რომ საგარეო ორიენტაციაზე საუბრისას მართლმადიდებლობა აპრიორი, როგორც უპირატესობა იქნას განხილული ვურჩევდი, რომ საკითხისთვის სხვა მხრიდან შექტედა და კითხვას ასე დავსვამდი: გულწრფელად სჯერა ვინმეს, რომ საქართველოსთვის აჯობებდა სპარსულები მართლმადიდებელი ქრისტიანები კოფილიყვნენ? მართალია ჩვენ გადაუუჩით არაბთა ბატონობას, „დიდ თურქობას“, სასოწარკვეთილებას არ მივცემოვართ მაშინაც, როცა თემურ-ლეგმა ქვა ქვაზე არ დატოვა საქართველოში, მაგრამ რუსების მოსვლიდან ლაახლოებით ნახევარ საუგუნეში ჩვენში საჯაროდ დაიწყო იმაზე მსჯელობა, ლირდა კი ქართველობა ამდენ ტანჯვად? ხომ არ აჯობებდა, რომ როგორც მდინარე - ჩვენც ზღვას შევრეოდით. ამ დროს მართლაც სულზე მოგვისწრო ილიამ და სამოცანელებმა.

რუსეთმა ძალზე სწრაფად და ეფექტურად შეძლო ჩვენთან ყველაფერ იმის მიღწევა, რასაც სხვები საუკუნეების განმავლობაში ვერ ახერხებდნენ. ერთმორწმუნე დამპერობელმა არა მარტო მეფობა გააუქმა და საქმის წარმოებიდან ქართული ენა

ამოაგდო, არამედ ავტოკეფალიაც წაგვართვა, რომლის შემდეგ ქართველობას პრაქტიკულად არანაირი ინსტიტუტი აღარ დარჩა, რომლის საშუალებითაც ეროვნული ინტერესების დაცვას შეძლებდა. იმპერიაში შემავალ სხვა, სრულიად განხვავებული სარწმუნოების ხალხებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სომხებთანაც ვერ მოხერხდა იგივეს გაკეთება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სომხები მონოფიზიტი ქრისტიანები იყვნენ.

ისტორიას თუ გადავხედავთ, ბევრს შეეპარება ეჭვი, რომ ქართველი ოდესმე ისე გულგრილი ყოფილიყო საკუთარი სახელმწიფოს, საკუთარი ლირსებისადმი, როგორც დღეს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლებოდა გადავრჩნილიყავით იმ მკაცრ და სასტიკ საუკუნეებში, თუკი ქართული სახოვადოება მაშინაც ასე ნაკლებად მოტივირებული იქნებოდა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად?

თუ რა სიღრმეშე შევტოპეთ მართლმადიდებლობაზე უსინდისო სპეცულაციით, „აგვისტოს ომის“ დროსაც გმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ რუსებს თბილისტეირიში გადაათქმევინეს და დედაქალაქში ბარ-რესტორნებმა მუშაობა განაახლეს, მრავალი ჩენგანი გახდა იმის მოწმე, რამდენი ბარიდან გამოდიოდა რუსული მუსიკის ხმა. კულტურის ინტერნაციონალური ხასიათის დამცველებს კი იმას შევახსენებდი, რომ ეს მუსიკა არც შოსტაკოვიჩის იყო და არც გრებენშტიკოვის.

ბევრი არ დაფიქრებულა იმაზე, რომ როდესაც პოლიტიკაში რელიგიით მანიპულაციას ვცდილობთ და მოძალადეს მართლმადიდებელს ვუწიდებთ, ამით საკუთარ რწმენას ვუთხრით ძირს. რადგან ასე ხომ მართლმადიდებლობას ვაიგივებთ ბოროტებასთან. მაშინ გამოდის, რომ თურმე შეიძლება „მართლმადიდებლურად“ დაპყრობა, ძარცვა, მოტყუება ხოცვა...

სისტემატურად ხდება იმ აღიარებული ჰეშმარიტების იგნორირება, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანად მონათვლა და მართლმადიდებლობის აღიარება მხოლოდ ერთი, საწყისი საფეხურია იმ გრძელ გზაზე, სადაც ადამიანი ნამდვილ ქრისტიანად შეიძლება ჩამოყალიბდეს.

რაც შექება ყოფილი „მოკავშირე რესპუბლიკების“ რუსეთთან ურთიერთობის წმინდა პოლიტიკურ მხარეს, ამ საკითხზე მსჯელობა არ შეიძლება იმ პროცესების განხილვის გარეშე, თუ როგორ ხდებოდა კულისებში საბჭოთა კავშირის დაშლის თაობაზე მოლაპარაკება. ამ თემაზე დასავლურ პრესაში არაერთხელ დაწერილა.

კერძოდ, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ლიდერებმა ცხადად დაინახეს, რომ იმპერიის შესანარჩუნებლად ძალა აღარ შესწევდათ, ხოლო რეიგანის დროინდებით დასავლების მოთხოვნა კატეგორიული გახდა

„საბჭოთა კავშირი უნდა დაიშალოს“ რუსებმა დასავლების დაშანტაშების გზა აირჩიეს. ისინი განუწყვეტლივ ამტკიცებდნენ, რომ დასავლები არ იცნობს სსრკ-ში შემავალ ხალხებს და ამიტომ მათ არ უნდა აერიოთ ისინი ვთქვათ, პოლონელებში, ან უნგრელებში. რუსების მტკიცებით, ისინი აღიარებდნენ უპირატესობებს საბაზრო ეკონომიკისას — სოციალისტურთან, მრავალპარტიული სისტემის — ერთპარტიულთან, ბოლშვიკების მიერ ჩადენილ მრავალ დაბაშაულს და შემდეგ სვამლნენ რიტორიკულ კითხვას: მაგრამ შეიძლება ბუნებაში ყველაფერი შავი იყოს? და ეს „თეთრი მათი მტკიცებით პირველ რიგში კომუნისტების უპუმბნურესი ნაციონალური პოლიტიკა გახლდათ. რადგანაც საბჭოთა კავშირში თურმე რუსის გარდა არ არსებობდა ერი. დანარჩენი ხალხები კი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებდნენ სახელმწიფოს შექმნას. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ შუა აზის რესპუბლიკებმა სახელმწიფოებრიობისა და საკუთარი საზღვრების განცდა მხოლოდ საბჭოების დროს შეიძინეს. რომ ლატვიელებსა და ესტონელებს საკუთარი არისტოკრატიაც კი არ ჰყოლიათ, რომ რუსებამდე საერთოდ არ არსებობდა მცნება „აზერბაიჯანელი ერი“, რომ სომხებს ათასწლეული არ ჰქონიათ საკუთარი სახელმწიფო,

ხოლო საქართველო და უკრაინა ცხადდებოდნენ, როგორც ტერიტორიები, სადაც მრავალი სხვადასხვა ეთნოსი ცხოვრობდა. შარშან ბუქარესტში პუტინი გააფორმებული მოუტრიალდა ბუშს: თქვენ მართლა გგონიათ, რომ უკრაინა, როგორც სახელმწიფო საერთოდ არსებობსო?

ყველივე აქედან გამომდინარე, რუსეთი დასავლების აფრთხილებდა, რომ სახელმწიფოს შექმნის უუნარობის გამო, ამ ხალხის მთავრობები თვითინი რეიტინგის ასამაღლებლად აუცილებლად მიმართავდნენ უკიდურეს ნაციონალიზმს, დაიწყებოდა ეთნიკური უცირესობების ულეტა. არაერთხელ გამოითქვა ეჭვი, რომ ისევე როგორც მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქება, ფერგანაში ე.წ. თურქი მესხების დარბევაც რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იყო ორგანიზებული. იმ პერიოდში მოსკოვი თავად აწვდიდა დასავლების ყალგამოღადრული ადამიანების შემაძრწუნებელი ფაქტების ამსახველ ფოტომასალას.

კერძლის იდეოლოგები აფრთხილებდნენ ყველას, რომ თავად ახლადაღმოცენებულ რესპუბლიკებს შორის სისხლისმღვრელი ომები გაჩაღდებოდა. გულებრყვილობაა იმის დაშვება, რომ თითქოს 1988 წელს საბჭოთა მთავრობა იმ დონეზე ვერ აკონტროლებდა სიტუაციას, ისეთი ფართომასშტაბიანი კონფლიქტი რომ დაეშვა სახელმწიფოში, როგორიც „ყარაბაღის ომი“ იყო. ამას გარდა რუსები წინასწარმეტყველებდნენ,

რომ ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე აყვავდებოდა კორუფცია, ნარკობიზნესი, ტრეფიკინგი და დასავლეთი გვიან მიხვდებოდა, თუ რა ჯინი ამოაძრინა ბოთლიდან და რამხელა თავსატეხი გაიჩინა ტყუილუბრალოდ.

იმის გამო, რომ რუსეთი კოლონიების დაკარგვას ვერ უკუება, მის სასიცოცხლო ინტერესებშია, ვერცერთი ეს რესპუბლიკა სახელმწიფოდ ვერ შედგეს და იმის მაგივრად, რომ საკუთარ განვითარება-კეთილდღეობაზე იფიქროს, თავის ძირითად ენერგიას სწორედ ამ დესტრუქციული მიმართულებით ხარჯავს. ამიტომაა, რომ რუსეთის გააფთრებას პირველ რიგში ყოფილი სატელიტების ნებისმიერი წარმატება იწვევს.

რა ინტერესები აქვს დასავლეთს საქართველოში? ეს ბევრჯერ თქმულა. პირველ რიგში ჩვენი დახმარებით რუსეთთან ენერგეტიკული დამოკიდებულებისგან თავის დაღწევა. საამისოდ კი აუცილებელია საქართველო იყოს ძლიერი და სტაბილური, რადგან დასავლეთისთვის მიუღებელია დიდი მასშტაბის ნავთობისა და გაზის იმ ქვეყნის გავლით დიეკრისიფირება, სადაც არასტაბილური ვითარებაა.

შეერთებულ შტატებში განსაკუთრებით ერაყის

ომის შემდეგ კარგად დაინახეს, რომ მათ ნებისმიერ მომენტში შეიძლება არ პქონდეთ თავიანთი სტრატეგიული პარტნიორების უფასტურად დაცვის შესაძლებლობა. სწორედ ამიტომაც აინტერესებთ, რომ ეს ქვეყნები მართლაც სიცოცხლისუნარიან სახელმწიფოებად შედგნენ და რეგიონში არსებული დიდი სახელმწიფოების ძლიერი გავლენის ქვეშ არ მოექცნენ.

საქართველოს ყოველმა მოქალაქემ უნდა გავაცნობიეროთ, რომ საგარეო ორიენტაციაზე საუბრისას მიუჟეტეს 21 საუკუნეში აღარ შეიძლება იმ კატეგორიებით მსჯელობა, ვინ უფრო კეთილია და ვის უფრო უკეთესობების გზა აირჩიოს, თუკი რა ისე როგორც არასდროს, გადამწყვეტია ის, თუ ვის რა ინტერესები ამოძრავებს და შესაბამისად ვისი ინტერესები ემთხვევა ჩვენსას.

სანამ რუსეთის იმპერიული მენტალიტეტი არ შეიცვლება, ძნელი წარმოსადგენია მან ნებით ჩვენთან კეთილმეზობლობის გზა აირჩიოს, თუკი რა თქმა უნდა თავად არ ვიტყვით დამოუკიდებლობის იღეაზე უარს.

## კოტე გვასალია

# ნაციონალიზმი, გლობალიზაცია და კოცლიქტიკი თანამედროვე მსოფლიოში

კონფლიქტი, ნაციონალიზმი, გლობალიზაცია – ეს სიტყვები ხშირად გვხვდება თანამედროვე პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში. რა არის თითოეული ამ ცნების არსი, როგორ ურთიერთკავშირში არიან ისინი ერთმანეთთან და ზოგადად, დღვენადელი კაციობრიობის როგორი ძალისხმევით არის შესაძლებელი ამ ცნებათა ურთიერთობის სწორ კალაპოტში მოქცევა?

ტერმინი „ნაციონალიზმი“ გამომდინარეობს „ერის“ ანუ „ნაციისაგან“. იგი მრავალმნიშვნელოვანია და სხვადასხვა მნიშვნელობებით გვხვდება. ნაციონალიზმი ზოგჯერ ეროვნული მოძრაობის აღმნიშვნელია, შეიძლება იდეოლოგიის, ან პოლიტიკური მოვლენის სახით წარმოგვიდგეს, ან კულტურასთან ასოცირებული. შესაძლოა, მისი სინთეზური გაგებაც, როცა მასში ერთდროულად იგულისხმება როგორც იდეოლოგიური, ისე

პოლიტიკური და კულტურული შინაარსი.

ვებსტერის საერთაშორისო ლექსიკონში მოცემული ნაციონალიზმის ექვსი განმარტებიდან ყველაზე ხშირად იხმარება ნაციონალიზმის ცნების სწორედ ეს მნიშვნელობა: “ეროვნული ინტერესებისადმი, ეროვნული ერთობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისადმი ერთგულება და მისი დაცვა”. (Webster’s New International Dictionary, 1996).

საპირისპიროდ არის წარმოდგენილი ნაციონალიზმის განმარტება საბჭოთა პერიოდების ლექსიკონებსა და ენციკლოპედიაში: „რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგია და პოლიტიკა, რომელიც ეროვნული შუღლის გაღვივებასა და სხვა ერების დაჩაგვრის ხარჯზე პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს გაბატონებულ ერს, მხარს

უჭერს ბურუუაზის კლასობრივ ინტერესებს, აცხადებს რა მას მთელი ერის ინტერესებად“ (Словарь русского языка, 1952).

ნაციონალიზმის კარლტონ პეისისეული ოთხი განმარტებიდან ორს გამოვყოფდი:

1. ნაციონალიზმი არის მიმდინარე ისტორიული პროცესი, რომელიც მდგომარეობს ეროვნების პოლიტიკურ ერთეულებად გარდაქმნაში და გამოიხატება ეროვნული სახელმწიფოების (ერი-სახელმწიფოების) ჩამოყალიბებაში;

2. ნაციონალიზმი არის გრძნობა, სული, რომელიც ახასიათებს მოცემული ეროვნების წევრებს და საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს იდეისადმი თავდადება განმტკიცებულია შინაგანი უპირატესობის რწმენით და საკუთარი ერის – სახელმწიფოს მისით (C.J.H. Hayes, 1926).

ამ უკანასკნელის მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ ზ.გამსახურიას „საქართველოს სულიერი მისია“, სადაც ავტორი ქართული კულტურის მისიას დასაფლური და აღმოსავლური კულტურების სინთეზირებაში ხედავს.

ჰეისისნაციონალიზმი დუალისტურია, იგი გულისხმობს, როგორც სიკეთეს, ისე ბოროტებას: ჰუმანური და ლიბერალური ნაციონალიზმი თავისუფლების და დემოკრატიის საფუძვლია;



კონფლიქტის და ომის გამოწვევი ნაციონალიზმი ბოროტებაა.

ისტორიკოსების გაგებით ნაციონალიზმი არის, პირველ რიგში, ისტორიული პროცესი, რომელიც გულისხმობს ერების პოლიტიკურ ერთეულებად ჩამოყალიბებას. მათი აზრით, ნაციონალიზმის წარმოშობისა და მისი განვითარების თავისებურებები კონკრეტულ ისტორიულ გარემოებებზეა დამოკიდებული.

სოციოლოგები ნაციონალიზმს მიიჩნევენ სოციალურ მოძრაობად, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიოში ადგილის მოპოვებას, შენარჩუნებასა და გაძლიერებას. ასევე, ისინი ნაციონალიზმს ეროვნული კულტურის მატარებელ საზოგადოებად აღიქვამენ.

თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი კატეგორიები ერი, სახელმწიფო და ხალხთა თვითგამორკვება და კავშირებულია ნაციონალიზმის ცნებასთან. მიუხედვად იმისა, რომ ნაციონალიზმა მკეთრი ცვლილებები განიცადა თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ინტერნაციონალიზმის როლი და მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება, მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, XXI საუკუნე ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის შეჯახების ეპოქა იქნება.

საინტერესო ნაციონალიზმის დაყოფა წარმოშობის მიხედვით: დასავლური და არასდასავლური ნაციონალიზმი. დასავლეთში ნაციონალიზმი წარმოიქმნა, როგორც პოლიტიკური მოვლენა. მას წინ უსწრებდა ერი – სახელმწიფოების წარმოშობა, სადაც მთელი მოსახლეობა ერთიანდება.

არადასავლეთში კი, ნაციონალიზმი სოციალური განვითარების დაბალი დონის პირობებში წარმოიშვა და უფრო გვიან, ვიდრე დასავლეთში.

დასავლეთი ნაციონალიზმის ძირითადი იდეალებია: ძმობა, ერთობა, თავისუფლება, კონსტიტუციონალიზმი, პარლამენტი, ლიბერალიზმი, დემოკრატია, ტოლერანტობა, სიტყვის თავისუფლება. ეს არის პლურალისტული, ანუ

ლია საზოგადოება. დასავლური ნაციონალიზმი წარმოიქმნა ბურუუაზის მხარდაჭერით. მისი საყრდენი იყო რეალიზმი, ანუ რეალური სიტუაცია და არა ისტორიული წარსული, და ინდივიდუალიზმი, სადაც მთავარი ატრიბუტია პიროვნების უფლებები. დასავლური ნაციონალიზმი ჩამოყალიბდა პიროვნების ინდივიდუალური განვითარების და პიროვნების თავისუფლების საფუძველზე.

არადასავლური ნაციონალიზმი არის ავტორიტარული, ანუ ჩაკეტილი ნაციონალიზმი. აქ ნაციონალიზმი ნიშნავს არა თავისუფლებას, არამედ მოვალეობას, ემსახურო შენს ქვეყნას. მისთვის დამახასიათებელი არის იდეალიზმი – იდეალური

სამშობლოს რწმენა. იგი ორიენტირებულია წარსულზე და არა აწმეოზე. აქ წამყვანია არა ინდივიდის, არამედ კოლექტივის უფლებები. აქედან გამომდინარეობს არასრულფასოვნების კომპლექსი, რაც ხშირად აგრესით გამოვლინდება.

მაქს ვებერის თვალსაზრისით კაპიტალიზმის, ცხოვრების კაპიტალისტური სტილის პირველი მოწინააღმდეგე, არის ტრადიცია. თუმცა, საბოლოოდ კაპიტალიზმი ანგრევს ტრადიციებს, შემოაქვეს ახალი სახის ურთიერთობები, რომლებიც კაპიტალიზმის არს ემყარება. ნაციონალიზმი, რომელიც ინდუსტრიალიზმთან ერთად შემოვიდა კაპიტალიზმის ეპოქაში, ექვემდებარება რა კაპიტალს, გამოდის ვიწრო ეთნიკური საზღვრებიდან. იგი გაცილებით უფრო ფრთხილად ეკიდება არსებულ რეალობას და ცდილობს ნაციონალური ინტერესებიც კაპიტალისტურ ინტერესებში ჩატიოს.

კაპიტალიზმის ეკონომიკური ერთიანობის იდეის მნიშვნელობით, XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გაჩნდა ტერმინი „გლობალიზაცია“. თუმცა, მან მალე უფრო ფართო, გლობალური მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოების ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა და გაერთიანების შერწყმის სინონიმად იქცა. XX საუკუნის ბოლოს მიმდინარე პროცესები სცილდება „საერთაშორისო“ პოლიტიკის ცნებას და მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელობას იძენს. ზოგიერთი მკვლევარი „მსოფლიო პოლიტიკას“ აღიქვამს, როგორც თანამედროვე ეპოქის, ერებისა და სახელმწიფოების კვდომის, ეროვნული საზღვრების წაშლის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ენობრივი ერთიანობის ეპოქად. ამას ნიშნავს გლობალიზაცია და იგი მნიშვნელოვნად ცვლის თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების შინაარსს.

მარტინ ელბროუს (Albright) განმარტებით, გლობალიზაცია მოიცავს პროცესებს, რომლებიც მსოფლიო ხალხებს ერთ მსოფლიო გლობალურ საზოგადოებად გადააქცევს.

მსოფლიო საზოგადოება ნიშნავს სოციალური ურთიერთობების ერთობას, რომელიც არ განისაზღვრება ნაციონალური სახელმწიფოებრივი პოლიტიკით. აქ მნიშვნელოვანია, ტრანსაციონალური მოქმედება. გლობალიზაცია ნიშნავს სახელმწიფოს ეროვნული საზღვრების მოშლას, ეროვნული ეკონომიკის გლობალური ეკონომიკით, ეროვნული კულტურის გლობალური კულტურით და ეროვნული ცნობიერების გლობალური ცნობიერებით შეცვლას. ყოველივე ეს სრულიად წინააღმდეგება ნაციონალიზმის ძირითად

პრინციპებს, სადაც უმაღლეს ღირსებად ითვლება ეროვნული სახელმწიფო, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული კულტურა, თუ ცნობიერება. როგორც ვხედავთ, გლობალიზაცია და ნაციონალიზმი ურთიერთდაპირის პირებული ცნებებია და მათ შორის არსებული წინააღმდეგობა წარმართავს თანამედროვე პოლიტიკას.

რეალისტების აზრით, გლობალიზაცია არ ნიშნავს სახელმწიფოთა შორისი პოლიტიკური სისტემის სრულად შეცვლას. პირიქით, სახელმწიფო რჩება. სწორედ ძლიერი სახელმწიფოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გამოხატულებად მიაჩნიათ მათი გლობალიზაცია. პლურალისტების მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი მოქმედი ძალა არის არა სახელმწიფო, არამედ საერთაშორისო სამართალი, მორალი, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, სადაც ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დგას ადამიანის უფლებები და მოქალაქეების კეთილდღეობა.

გლობალიზაციის პროცესს თან სდევს ერი-სახელმწიფოს კრიზისი, ხოლო ერი-სახელმწიფოს დასუსტებას მოჰყება ახალი ნაციონალიზმის წარმოშობა. ამ დროს ძლიერდება სახელმწიფოს მიმართ მოსახლეობის ოპოზიცია და ეთნიკური სოლიდარობა. ეთნოსები ცდილობენ გლობალურ საზოგადოებაში, სახელმწიფოს გვერდის ავლით, (რომელიც არ არის მათი ეროვნული სახელმწიფო), გახდნენ მსოფლიოს საზოგადოების წევრები. ეს კი სახელმწიფოს ნგრევას ნიშნავს. სწორედ ამ სახის წინააღმდეგობა იწვევს ეთნიკურ კომფლიქტებს.

**ეთნოკონფლიქტები** გლობალიზაციის დასაწყისამდე, ანუ 90-იან წლებამდე უკვე არსებობდა. ხშირად ისინი, რომელიმე სახელმწიფოს მიერ იყო ინსპირირებული მეორე სახელმწიფოს დასასუსტებლად.

ნაციონალიზმი და ეთნოკონფლიქტები დასავლეთის ქვეყნებში უფრო ნაკლებია, ის უფრო ნალებად განვითარებულ ქვეყნებში გახვდება, მაშინ, როდესაც გლობალიზაცია დასაველთის განვითარებული ქვეყნების პირშობა.

ასე რომ, „ახალ ნაციონალიზმთან“ გლობალიზაციის დაკავშირება არ არის აპრიორული ფაქტი. ეთნიკური ნაციონალიზმის მიზანი ყველა შემთხვევაში საკუთარი სახელმწიფოს შექმნა, თვითგამორკვეული და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. სულერთა, თუ ვინ წარმართავს ნაციონალიზმის პროცესს – ინტელიგენცია, ელიტა თუ უცხო ქვეყანა, წარმატებას ნაციონალისტური

მოძრაობა მხოლოდ ხალხის ფართო მასების მხარდაჭერით თუ მიაღწევს.

ახლა მოკლედ შევხმოთ თვითონ კონფლიქტის არსე და მის მართვას. კონფლიქტი არის ურთიერთმიმართება ორ, ან ორზე მეტ ისეთ მხარეს შორის, რომელთაც აქვთ, ან ფიქრობენ, რომ აქვთ ურთიერთშეუთავსებელი მიზნები.

თავისთვად, აზრთა სხვადასხვაობა ადამიანთათვის დამახასიათებელი თვისებაა. კონფლიქტი, რომელიც მას ხშირად მოჰყვება შესაძლოა კაცობრიობის განვითარებისათვის აუცილებელიც კი იყოს, თუკი რასაკვირველია ის ძალადობაში არ გადაიზრდება.

კონფლიქტები გვხვდება ყველა სფეროში: პიროვნული, ოჯახის, თაობათა შორის, ადამიანთა ჯგუფებს შორის, ორგანიზაციებში და ეთნო კონფლიქტები. ძალადობაში კონფლიქტი გადაიზრდება, როცა არ არსებობს შესაბამისი არჩები დიალოგის გასამართვად, არ ექცევა ყურადღება საწინააღმდეგო აზრს და ფარულ უქმაყოფილებას და შესაბამისად არც მათი სასურველი გზით წარმართვა ხდება; თუმსა და საზოგადოებაში დასადგურებულია არასტაბილურობა, უსამართლობა და შიში.

არსებობს კონფლიქტის დამლევის სხვადასხვა ეტაპები: კონფლიქტის პრევენცია; კონფლიქტის მოგვარება; კონფლიქტის მართვა; კონფლიქტის გადაჭრა; კონფლიქტის ტრანსფორმაცია. იმდენად,

კონფლიქტი, რომელიც არ მოგვარდება, თუ მხარეებს აქვთ ამის სურვილი და კეთილი ნება.

კაცობრიობის განვითარება გულისხმობს არა მხოლოდ მის ტექნიკურ ცივილიზაციასა და პროგრესს, არამედ ადამიანის ცნობიერების ამაღლებას. მსოფლიო ისტორია კარგად გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში კაცობრიობის განვითარებას სხვადასხვა კულტურები წარმართავდნენ: ინდოეთი, სპარსეთი, ეგვიპტე, საბერძნეთი-რომი. ამას განაპირობებდა შესაბამის ეპოქაში გარკვეული კულტურის მატარებელ ადამიანთა წარმმართველი ნაწილის ცნობიერების სიმაღლე. თუმცა, ცნობიერების განვითარება პერმანენტული პროცესი უნდა იყოს. შეჩერება ნიშნავს უკან სვლას და მაშინ ამ ესტაფეტას სხვა კულტურა იღებს, რომელიც მანამდე ჩრდილში ვითარდებოდა. ამჟამად ეს ფუნქცია დასავლურ ცივილიზაციას ენიჭება.

XXI საუკუნე გლობალიზაციის დასწევისია. გლობალიზაციის პროცესი ისევე, როგორც ტრანსფორმაციის სხვა სახები, მტკიცნეულად მიმდინარეობს. რაც უფრო ჩამორჩენილია ერი, მით უფრო ძნელად ერთვება იგი დროის შესაბამის პროცესებში. ხოლო ერის ჩამორჩენილობა მოსახლეობის დაბალი ცნობიერების პირდაპირ პროპორციულია.

ყოველი ადამიანი იბადება დედამიწის გარკვეულ

რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც  
კონფლიქტების  
პ რ ო ბ ლ ე მ ა  
თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე  
მსოფლიოში ძალზედ  
ა ქ ტ უ ა ლ უ რ ი ა ,  
უ ა მ რ ა ვ ი  
ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო  
ს ა მ თ ა ვ რ ო ბ ო ,  
ა რ ა ს ა მ თ ა ვ რ ო ბ ო  
ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ა  
ჩ ა რ თ უ ლ ი მ ა თ ი  
შ ე ს წ ვ ე ლ ი ს დ ა მ გ -  
გ ა რ ე ბ ი ს ს ა ქ მ ე შ ი .

ა ვ ს ტ რ ი ე ლ ი  
კონფლიქტოლოგი  
ფრიდრიხ გლაზლი  
აღნიშნავს, რომ  
არ არსებობს



# ქართული

უბანში, გარკვეულ ტერიტორიაზე, იგი გარკვეული ქვეყნის შვილია. ამას უკავშირდება მისი მოცემული ერისადმი კუთვნილება, რაც გამოიხატება მის რასობრივ, რელიგიურ და ეროვნულ თავისებურებებში. აქედან გამომდინარეობს ადამიანის ჩვევები, რომლებსაც იგი მისი გარემოცვისაგან იღებს, ენა, თვით მენტალიტეტიც კი, რომ არაფერი ვთქვათ მის ფიზიკურ მემკვიდრეობაზე. ბუნებრივია, ადამიანი არ არის ეროვნებისაგან, ნაციისაგან თავისუფალი, მას გარკვეული ვალდებულებებიც გააჩნია თავისი ერის მიმართ. კერძოდ, ყოველი ადამიანი მოვალეა, იცოდეს თავისი მშობლიური ენა, ისტორია, კულტურა და დაიცვას იგი.

მეორეს მხრივ წარმოუდგენელია, რომ ადამიანის, როგორც ასეთის დანიშნულება, ერის ღირსების დაცვა იყოს მხოლოდ ყოველი ადამიანი გარდა თავისი ერისა, დედამიწის შვილიც არის. განსაკუთრებით დღევანდველ დღეს, როდესაც კომუნიკაციური და სხვა საშუალებები, ისე აახლოებს ადამიანებს, რომ ყველაფერი რაც დედამიწაზე ხდება, მყისიერად ხდება ყოველი ჩვენგანის საკუთრება.

ადამიანი მოვალეა გამოვიდეს ვიწრო ეროვნული ინტერესებიდან, დადგეს მასზე უფრო მაღლა, გააცნობიეროს და შეაფასოს ძველი ტრადიციები და უშიშრად იბრძოლოს ახალი, უფრო დიდი დირებულებების დამკვიდრებისათვის. რაც უფრო განვითარებულია ერი, მით უფრო მეტი მიმდევარი გამოუწენდება მის შიგნით ჭუშმარიტად პროგრესულ და თავისუფალ მოქმედებას.

XXI საუკუნე ინდივიდუალური განვითარების საუკუნეა. მოაზროვნე და თავისუფალი ადამიანების საუკუნე. მით უფრო წინ წასულია ერი-სახელმწიფო, რაც უფრო მეტი „ინდივიდისაგან“ შედგება იგი. ასეთია დასავლური სახელმწიფოები. აქედან გამომდინარეობს ჩვენი ქვეყნის მისწრაფებაც, დასავლეთის, ვეროპის ცივილიზაციასთან ინტეგრაციისადმი.

ინტეგრაცია თავისთავად

ნიშნავს შერწყმას, აღრევას, რაც გლობალიზაციის ნიშანია. სწორად წარმართული გლობალიზაცია არ გამოირჩება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, ენობრივი, კულტურული, პოლიტიკური და სოციალური სუვერენიტეტის შენარჩუნებას. ანუ ინტეგრირებული ქვეყნები უნდა ამდიდრებდნენ ერთმანეთს და არა პირიქით, ტაცებდნენ სიმძიდრეს. ამისათვის არის საჭირო, რომ ადამიანები გამოვიდნენ ჯგუფური აზროვნებიდან და ინდივიდუებად ჩამოყალიბდნენ.

ჯგუფურ აზროვნებაში ჩაკეტვა არის სწორედ კონფლიქტის მთავარი წყარო – იგი ყველა სფეროს მოიცავს, სამართალს, რელიგიას, ხელოვნებას. როგორც ამბობენ: „ყველაზე ბასრი იარაღი მჩაგრელთა ხელში, ჩაგრულთა ცნობიერებაა“. ჯგუფური ცნობიერებისათვის დამახასიათებელია ვიწრო ტრადიციონალიზმი, რელიგიური ფუნდამენტალიზმი, თვით ფანატიზმიც კი, რაც ადვილი სამართავია. მხოლოდ ინდივიდუალურ, განათლებაზე დაყრდნობილ თავისუფალ ცნობიერებას შეუძლია გაარღვიოს ჯგუფური საზღვრები და გახდეს „მსოფლიოს მოქალაქე“, ვისთვისაც ეროვნულ ღირებულებებთან ერთად არსებობს ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ადამიანის უფლებები, თავისუფლება, დემოკრატია, დირსება. ასეთი ადამიანები „ერთ ენაზე“ ლაპარაკობენ და რომელი ეროვნებისა თუ აღმსარებლობის მატარებლებიც არ უნდა იყვნენ, მათ გასაყოფი არაფერი აქვთ. კონფლიქტები ასეთ საზოგადოებაში არასოდეს არ მიაღწევს ესკალაციის ძალადობის დონეს. ამგვარი კონფლიქტები თვითმოვარებადია და გარედან ჩარევას არ საჭიროებს. მიუხედავად მრავალი ეთნო და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტებისა, გლობალიზაცია შეუჩერებელი და გარდაუგალი პროცესია. ადრე თუ გვიან ეს პროცესი მთელს დედამიწას მოიცავს და ჩვენი, ადამიანების მოვალეობაა, რაც შეიძლება ნაკლებად მტკიცნეულად წარვმართოთ იგი.

მედუნა გოგიშვილი

## ინცონაცია

Au-Pair -ის პირობებამით ჩამოსულ ახალგაზრდებს, რომლებსაც აპათ უპიოთხვები მათი უფლება-მოვალეობის უმსახვებ, უმეტეს დაუკავშირდეთ სათვისტომოსთან ასე-გულ საინიციატივო ჯგუფს უმდეგ ნომრებზე:

0176 23346015 (პარმენი),  
0176 22640247 (თონათონი),  
0179 4998874 (ნონი)

ან ელექტრონული ფოსტი: [info@satvistomo.de](mailto:info@satvistomo.de)

# Ա Ե Վ Ո Ւ Ջ

ଶାନ୍ତିକାରୀ ମନୋରଜାଗରଣକାରୀ

ବିଦ୍ୟା ପରିଷଦ୍ ପତ୍ରମିଳନାବୁଦ୍ଧି ।।।

# ଭାବିତା ଓ ପ୍ରକାଶକ ମେଲିଟା

საქართველოს სამეფოს იმ აშლილობის დროს, რომელიც დამკვიდრდა უსინათლო თეოდოსის მეფობაში, მმართველ მოწინავე წრეში საბედნიეროდ მაინც აღმოჩნდა შეგნებული ჯაფუი, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის გული შესტკიოდა. ამ წრის საუკუთხსო წარმომადგენელი იოანე მარუშის ძე ყოფილა. „ამან წარადგინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა, აქვია, რათა მოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი და უბოძოს ბაგრატსა ძესა გურგენისასა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსაც ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი ესვე.“ ტაოს მფლობელის – დავით დიდ კურაპალატზე უკუთხსად არაგის შეეძლო ეს განეხორციელებინა, რაკი მას შვილი არ ებადა, ამიტომ თავისი მახლობელი ნათესავი „ბაგრატ ძე გურგენისი გაუზარდა შვილად თვისადა“. მაშასადამე, იგი არამც თუ ქართველთა მეფეთა სამფლობელოს მემკვიდრე იყო, არამედ ტაოსიც, ხოლო თუ აფხაზთა მეფების ტახტზე მართლაც ბაგრატს დასვამდნენ, მაშინ იგი გახდებოდა თითქმის მთელი გაერთიანებული საქართველოს ხელმწიფები, კახეთისა და პერეთის ერთი ნაწილის გარდა. სწორედ ამიტომაც იოანე მარუშის ძე „ეტებდა მეტედ ბაგრატსა“.

დაგით დიდ კურაპალატს მოწინა ეს წინადაღება  
და თავისი ჯარითურთ საჩქაროდ ქართლისაკენ  
გამოეშუა. ეს ოომ კახელებმა გაიგეს, ქართლს  
უზუმრივ თავი მიანებეს და ოცა კურაპალატი  
მობრძანდა და ქუაკვრელთან დადგა, იოანე მარუშის  
ძე მიეგება და უფლისცაიხე გადასცა. ხოლო დაგითმა  
„მიუბრძა ბაგრატსა და მამასა მისსა გურგენს“,  
მაგრამ რაკი ბაგრატი ჯერ სრულწლოვანი არ  
იყო, ამიტომ „თანაგამგებლაშ მამა მისი გურგენი

დაუნიშნა.

კურაპალატმა ქართლითგან წასკლის წინ  
შეკრიბა ადგილობრივი აზნაურები და გამოუცხადა:  
„ესე (ბაგრატი) არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა  
და აფხაზეთისა, შვილი გაზრდილი ჩემი, და მე ვარ  
მოურავი მისი და თანაშემწე, ამას დაემორჩილენით  
ყოველნი“-ო. მაგრამ ყველა აზნაური რომ იოანე  
მარტინისძესავით საქართველოზე არ ფიქრობდა,  
პირადი და წოდებრივი გამოირჩენისა და სარგებლობის  
წყურვილი კლავდათ. აკი ამიტომაც დიდხანს ვერ  
მოითმენს აზნაურებმა და „იწყეს კუალად მეღვრობით  
ზაკოლება“. მოიყუანეს ლაშქარნი კახეთით და გასცეს  
უფლის ციხე და შეიძყრეს გურგენ და ძე მისი ბაგრატი  
და დედოფალი გურანდუხტ და წარიყუანეს კახეთად“.  
დავით კურაპალატი ჩამოვიდა თუ არა ქართლში,  
ხელად გაარიგა საქმეები და წესრიგი დაამყარა.  
კახელებმა დატყვევებულები გაათავისუფლეს,  
ქართლს ყველა დაპყრობილი ადგილები დაუბრუნეს,  
წირულალის ციხისა და ფრუსას გარდა.

აფხაზეთში ისე აიწენა და გაირყვნა ქვეყანა, რომ აფხაზეთის დიდებულ აზნაურებმაც დაინახეს თუ რა საზარალოა ქვეყნისათვის სუსტი ადამიანის მეფობა. ამით ყველაფრით ისარეგებლა იოანე მარუშის ძემ და „ინება რათა მოიყუანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა. გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისაგან“. ახალგაზრდა ბაგრატი აფხაზეთში ჩაიყვანეს და „დალოცეს მეფედ“. გასარკვევია როდის გამეფდა ბაგრატი. იგი ოჯგურ გამეფდა, პირველად თითქოს ქართლში, მეორედ აფხაზეთში, ანუ უკეთ რომ ვთქვათ ლიხთ-იმერეთში. პირველად ბაგრატი არასრუწილოვანი იყო, ხოლო მეორედ „განსრულებულ იყო პასაკითა“-ო.

# ქართველი

მატიანე ქართლისა მოგვითხრობს, რომ ბაგრატ III “მეფობდა ოცდაოუკვსმეტიწელი” და გარდაიცვალა 1014 წელს, მაშასადამე იგი გამეფებულა 978 წელს. ახლად გამეფებული ბაგრატი მაშინვე არ შესდგომია ქვეყნის მოწესრიგებას. ჯერ ვითარების გაგება იყო საჭირო. შეუძლებელი გახლდათ ერთსა და იმევე დროს ორი მეფე ყოფილიყო გამედ, რომელთაგან ერთი უსინათლო და თვითნება მოხელეების სათამაშოდ იყო ქცეული და მისი პოლიტიკა წინ გადაედობებოდა ბაგრატის გარკვეულ პოლიტიკას. ამიტომ ბაგრატმა, რათა ქვეყნის ერთადერთი ბატონი ყოფილიყო და „ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, სასოება კეთილი, გინა თუ შიში უწესობისა თვის მისა მიმართ აქუნდეს“, თავისი უსინათლო ბიძა თეოდოსი ტაოს გაგზავნა დავით კურაპალატთან და თვითონ ქართლისა და აფხაზეთის ერთადერთი ბატონი გახდა. ეს მოხდა 980 წელს. ამიერითგან საქართველოს გაერთიანების საქმე მტკიცე ხასათისა და შეუძლებელი ნების პატრონ მეფეს ჩაუგარდა. მან დაიწყო იმით, რომ დიდებული აზნაურები თავიანთ ქერქში ჩაუყენებინა. ეს არაფრად მოქწონათ ქართლის აზნაურებს, თუმცა ისინი ქართლში მცხოვრებ ბაგრატის დედას, გურანდუხტს, ემორჩილებოდნენ, მაგრამ თავისუფლადიყვნენ „თვითეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა“. ასეთ აზნაურებს რასაკვირველია „არა ენება გარდმოსვლა“ ბაგრატისა ქართლში და ქავარ ტბელის წინამდღოლობით მეფეს მოღრისის თავს დაუხვდნენ და მისი ქართლში გადმოშვება არ სურდათ. ბაგრატი შეება თავზედ აზნაურებს და დაამარცხა. მერე უფლისციხეში მივიდა „აღიღო ციხე დედისაგან თვისისა“ და ქართლის გამგეობა ჩამოართვა ამის შემდეგ ბაგრატმა. ტფილისის სამხრეთით კერძოდ ყოველივე თრიალეთი, მანგლისის ხევი და სკორეთი, აგრეთვე ატენის ციხეც. ამ დრომ კლდეკარის ერისთავთ-ერისთავს რატის ეჭირა და „არა მორჩილებდა ბაგრატ მეფესა“. როდესაც ბაგრატ მეფემ ლაშქრის შეკრება დაიწყო, მისმა მოწინააღმდეგებმა დავით კუჯრაპალატს ჩააგონეს, ბაგრატს შენი მოკვლა სწადიაო და რასაკვირველია შვილობილის წინააღმდეგ ააშედრეს.

დავით კურაპალატმა უხმო ყოველთა მეფეთა სომხითისასა, რომელიც წამოსულა მოელი თავისი მხედრობითა, ამგვარად ბაგრატ III და მისი მამის წინააღმდეგ იღა შეერთებული მხედრობა ქართველთა, გვასპურაკანელთა, სვინიელთა და ალბანთა. კურაპალატმა ჯარი გაგზავნა გურგენის წინააღმდეგ. გურგენი დამარცხდა და წეფთის ციხეში შეიხინა. ბაგრატ მეფემ გაანალიზა მდგომარეობა და გადაწყვიტა თვით სწვეოდა დავით კურაპალატს. მართლაც ასე მოიქცა. როდესაც კურაპალატმა მოუსმინა ბაგრატს, დაუჯერა მას. ბაგრატმა აუწყა, რომ რატი არ ემორჩილებოდა მას.

მაშინ დავით კურაპალატმა უთხრა: „მე კი ესრეთ მითხვეს, რომელ სიკუდილად ჩემდა გამოსულ იყავ, გარნა აწ ვცან მართალი, რომელ უბრალო ხარ... მითავისუფლებიხარ რატის ზედა, დაიმორჩილე ვითარუა სახით გწადიან“-ო. ბაგრატ მეორე წელსვე მოულოდნელად რატის მიადგა და ადვილად დაიმორჩილა.

დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატ III-ს კურაპალატობის პატივი, ხოლო გურგენს მაგისტროსობა შიულია.

1001 წელს ქართველთა მეფეთავის მხედრობით ბიზანტიის ხელში მყოფ ტაოს შეესია და ოლთისის ციხეს მიადგა, მაგრამ ვერც ის აიღო და ვერც სხვა რომელიმე ციხე. მის შემდეგ კიოსრის სარდალმა აუწყა გურგენს, რომ დაზავებულიყვნენ.

ამგვარად, ბაგრატს იმედი გაუცრუვდა და იმიერტაოს, ბასიანისა და სხვა მიწების შემოერთება ვერ მოხერხდა. 1008 წელს გარდაიცვალა გურგენ მეფე და ბაგრატი „ეუფლა ტაოსა“-ც. ქელა კი იგი გახდა

## ბაგრატ III



მეფეთ-მეფედ აფხაზთა და ქართველთა მეფედ.

ამის შემდეგ ჯერი კახეთსა და ჰერეთზე მიღა. ბაგრატმა შეკრიბა ჯარი, მოკლე გზით ჯვარეთითგან კახეთში ჩავიდა, დაიპყრა ჰერეთი. გაემგზავრა თუ არა ბაგრატი შინისაკენ, მაშინვე ჰერეთი გადაუდგა.

ბაგრატი კვლავ მოვიდა კახეთის დასაპყრობად. მეფემ ხელმეორედ დაიპყრო ჰერეთი, დაიჭირა დინარ დედოფალი და კახეთის ციხეების აღებას შეუდგა. ორი წლის განმავლობაში ყველა სიმაგრეზე აიღო. ხოლო ბოჭორმის ციხეში მომწყვდეული კვირიკეც იძულებული გახდა ბაგრატს დამორჩილებოდა. ამგვარად ბაგრატ მეფემ ორი წლის განმავლობაში მოელი კახეთ-ჰერეთი დაიპყრო და თავის სამფლობელოს შემოუერთა.

ახლა კი თითქმის მთელი საქართველოს გაერთიანებული იყო. ქალაქ ტფილისას, შულავერ-ბოლნისის ხეობათა და ტაშირის გარდა, ერთიან სახელმწიფოდ წარმოადგენდა.

ბაგრატ მეფის მტკიცე ხასიათმა, ბრძნულმა და წინდახედულმა მმართველობამ, გაუკაცურმა გულადობამ და შორსმჭვრეტელმა პოლიტიკამ საქართველო გააერთიანა და მის ძლიერებას საფუძველი ჩაუყარა.

მეფობის ბოლო წლებში ბაგრატ III-მ სომეხთა მეფე გარიკ I ერთად ილაშქრა საქართველოს

მოსაზღვრე რანის (არანი) მფლობელ ფადლონის წინააღმდეგ ყოველწლიური ხარკი ქადა და საქართველოს მეფის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო.

საქართველოს გაერთიანების განსამტკიცებლად ბაგრატ მესამე ზოგჯერ იძულებული ხდებოდა უკიდურესი ზომებისთვის მიემართა. მან თავისი ნათესავები, კლარჯეთის ბაგრატიონების შთამომავლები, სუმბატი და გურგენი (ბაგრატ არტანუჯელის ძენი), რომლებიც ვერ დაიმორჩილა, ვითომ შერიგების მიზნით სადარბაზოდ მიიწვია ფანასკერტში, შეიპყრო და თმოგვის ციხეში გამოკეტა (1011 წ.), სადაც ისინი გარდაიცვალნენ. მათი სამფლობელოები ბაგრატმა შემოიერთა.

ბაგრატ მესამემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ფეოდალურ მონარქიას და თვით სახელმწიფო „საქართველოს“. ბაგრატი იწოდებოდა „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა კურაპალატში. ერთიანი საქართველოს დედაქალაქი ქუთაისი იყო.

მომზადებულია ტელეკომპანია „საქართველოს“ პროექტი „მთავარსარდლის“  
ლიატერატურული სცენარის მიხედვით  
კულტორი ლეგან უმიკაშვილი


## ტელე რიტორი

### დღიურის კულტივის წევნისა დებოლიტიკის

„აღდგომა, აღდგომა უფლისა! და კიდევ გეტევით სამების თაყვანსაცემად: აღდგომა! დღესასწაული დღესასწაულთა და ზემთა ზემიძი; იგი იმდენად აღმატებულია ყველა, თუნდაც საუფლო დღესასწაულზე, რამდენადაც შეე აღემატება ვარსკვლავებს.“ – წერს წმ. გრიგოლ ღვთისშეტყველი.

მართალია, ქრისტეს სიცოცხლეში მოწაფებს ძლიერ სწამდათ მისი, მაგრამ იქსო სიკვდილის შემდეგ ეს რწმენა მაღვევ გაქრებოდა, თუ მას მკვდრეთით აღმდგარს არ იხილავდნენ. იქსო

ქრისტეს დაპირება, მესამე დღეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ და მისი აღსრულება იქცა ქრისტიანული რელიგიის დასაბამად. მაინც რა სასწაულია ეს და სად აღესრულება იგი? მაცხოვრის გამოქაბული ანუ საფლავი მდებარეობს მღვიმეში, რომელიც ოდესლაც იერუსალიმში მცხოვრებ იოსებ არიმათიელს ეპუთვნოდა. სწორედ ამ მღვიმეში იქნა დაფლული იქსო ქრისტეს წმინდა სხეული და სწორედ აქ აღდგა იგი. იუდეის მღვდელმთავრების ბრალდებით და რომაელი მმართველი პილატეს განაჩენით ქრისტე ჯვარს აცვეს ორ ავაზაკთან



„მე ვარ აფდგომა და სიცოცხლე. ვინც მე მინამებს, კიდეც  
რომ მოკვდეს, იცოცხლებს“.

ერთად. ეპისკოპოსი ილია მინიასტისი ერთ-ერთ წერილში წერს: „ჰოი, ქრისტიანენო, ის, ვისაც ჩვენ დიდ პარასკევს ჯვარცმულს ვხედავთ, ეკლის გვირგვინით, ყვირიმალში ნაცემს, ჭრილობებისგან გასისხლიანებულს მეუფეა დიდებისა, ჩვენი მეუფეა, რომლის სახელითაც ნათელი ვიღეთ, ვისი სახარებაც გვწამს, ვის საუფეველსაც მოველით.“ სამწუხაროდ ჩვენ მაშინ ვერ ვიზილეთ მხსნელი ამ ქვეყნისა და გავხდით მომსწრე იმისა, რომ ქე ღვთისა ჯვარზე გაკრული გვეხილა. თვით ჯვარზეგაკრული უფალი კი ღმერთს ასე შესთხოვდა: „უფალო მიუტევე, რამეთუ არ იციან რას სჩადიან“.

ქრისტეს სიკვდილის შემდეგ, მაცხოვრის ორმა ფარულმა მოწაფემ ნიკოდიმოსმა და იოსებ არიმათიელმა, პილატეს ჯვარცმულის დასაფლავების უფლება გამოსთხოვეს და მიიღეს კიდეც. მათ მოწიწებით ჩამოხსნეს ჯვრიდან მაცხოვარი,

(იოანეს ხსხარება 11. 25)

მენელსაც ხებლე დედებთან ერთად ნელსაც ხებელი სცხეს ქრისტეს გვამს, შემდეგ მიცვალებულის სამოსით შემოსეს და დაასვენეს სამარხში, რომელიც იოსებს თავისთვის და თავისი შთამომავლებისთვის ჰქონდა გამშადებული. მწუხარებით დატოვეს იქაურობა და სახლისკენ გაემურნენ. გამოქვაბულის შესასვლელს, რომელიც უზარმაზარი ლოდით იყო დაკეტილი, რომის იმპერატორის ბრძანებით მცველები დაუყენეს სადარაჯოდ. შუაღამე რომ გადავიდა, მოხდა ყველაზე საოცარი რამ სამყაროში, რომელსაც კაცობრიობას აუწევებდნენ წინასწარმეტყველნი, რასაც თავად ქრისტე იგავით ამცნობდა თავის მოწაფებს, ქრისტე აღსდგა მკვდრეთით. კვირა დილით, როდესაც მენელსაც ხებლე დედები გამოქვაბულში მივიღნენ, რათა მირონი ეცხოთ ქრისტეს გვამისთვის, ლოდი გადაგორებული და საფლავი ცარიელი დახვდათ. აკლდამაში მათ ზეციური მაცნე — ანგელოზი გამოეცხადათ, საფლავი არაამქვეყნიური ნათლით ააგვით და ხმა გაისმა: “რასა ეძიებთ ცოცხალსა მკვდართა შორის? ქრისტე აღსდგა!” ამ სიტყვების გაგონების შემდეგ, მეხელსაც ხებლე დედების მწუხარება სიხარულით შეიცვალა. დარწმუნებულები იმაში, რომ უფალი ჭეშმარიტად აღსდგა გაეშურნენ იერუსალიმში, რათა ეს სიხარული მოციქულებისთვის

გაეზიარებინათ. მენელსაც ხებლე დედები იყენენ პირველზე, რომელთაც აღდგომის შემდეგ ქრისტე იხილეს. თუმცა საეკლესიო გადმოცემა მოწმობს, რომ მარიამ ღვთისმშობელმა ქრისტეს აღდგომა იმ წამს იხილა, როცა იგი აღდგა. აღდგომილი მაცხოვარი ყველაზე უწინ იცნო ღვთისმშობელმა და იგი მისი მოციქულების მოციქული გახდა. ის პირველად ჩასწვდა აღსრულებული მოვლენების: მიწისძვრის, საფლავთა გახსნის, მზის დაბნელების, ქვის გადაგორების, საფლავთა დაცარიელების და ანგელოზის გამოცხადების დიდებულებას. ეს ყველაფერი იყო აღსრულება მისი დიდი რწმენისა და მოლოდინისა, რომ მკვდრეთით აღმდგარ ქე ღვთისას იხილავდა. იესო ქრისტეს აღდგომის შესახებ წმინდა იოანე დამასკელი გადმოგვცემს: „პეტრემ საფლავთან მიირბინა და განერთხა მასზე და იხილა რა იქ ნათელი, შეძრწუნდა“. ეს იყო ზეციური ნათება, რომელმაც საფლავი გააბრწყინა, ეს იყო ნიშანი, რომელიც მოციქულებს ქრისტეს აღდგომას მიანიშნებდა. და იმ დღიდან მოყოლებული, ყოველ აღდგომას გადმოდის მაღლმოსილი ნათელი მაცხოვრის საფლავზე ყველას დასარწმუნებლად, რომ ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე.

რო საუკუნის განმავლობაში ქრისტიანები

ამ ადგილზე, სადაც ეს სასწაული აღესრულა, საიდუმლოდ მიდიოდნენ. მდგომარეობა მხოლოდ მის შემდეგ შეიცვალა, როდესაც რომის იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანობა მიიღო. მანვე ისურვა უფლის საფლავზე ისეთი დიდებული ტაძრის აგება, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი იქნებოდა. ამ ტაძრის დაწვრილებითი აღწერილობა დაგვიტოვა იმდროინდელმა ისტორიკოსმა ევსევი პატფილიუსმა. მისივე წყაროებში ვხვდებით უძველეს დამოწმებას ღვთაებრივი ცეცხლის შესახებ. ისტორიკოსი წერს, ერთხელ, პატრიარქ ნიკოსის დროს (II საუკუნეში), ტაძრის ერთ-ერთ კანდელში ზეთი ილეოდა და მასში წყაროს წყალი ჩაუმატეს. და აი, სააღდგომო მსახურების დროს ეს კანდელი უეცრად ზეციური ცეცხლით აინთო და მოული დამე იწვოდა. მომდევნო საუკუნეებში უამრავი ადამიანი გახდა მოწმე მართლმადიდებლური აღდგომის წინ გადმოსული ზეციური ცეცხლის ხილვისა. მიუხედავად იმისა, რომ აღდგომის ტაძრის სიწმინდები სხვადასხვა კონფესიებს შორის არის გადანაწილებული, მაღლმოსილი ცეცხლის გადმოსვლის უფლება მხოლოდ მართლმადიდებელ პატრიარქს ეკუთვნის. თუმცა იყო შემთხვევა, როდესაც სომხებმა ამის უფლება მოიპოვეს და მართლმადიდებელი

პატრიარქი ტაძრიდანაც კი გააძევეს. იდგა ქუჩაში, ტაძრის შესასვლელთან, სვეტებთან ახლოს მართლმადიდებელი პატრიარქი, ტაძარში კი სომქები კათოლიკოსი სხვა სასულიერო პირებთან ერთად და მღუმარედ ელოდნენ ცეცხლის გადმოსვლას.

უცცრად საშინელი გრგვინების ხმა გაისძა, მარმარილოს სვეტი, სადაც მართლმადიდებელი პატრიარქი იდგა გაიბზარა და სწორედ ამ ბზარიდან გადმოვიდა ღვთაებრივი ცეცხლი. დაჩოქილი პატრიარქი წამოდგა და ამ ცეცხლისაგან აახორ სანთლები. ეს კიდევ ერთი დადასტურება იყო მართლმადიდებლობის უტყუარობისა. ეს ბზარი დღესაც ნათლად ჩანს ამ სვეტზე.

დაგამთავრებდი წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებით: „ინებოს მოწყალე ღმერთმა, რომ როგორც ევნეთ თქვენ უფალთან ერთად მისი ჯვარცმის უამს, ასევე იხარებდით და ილხენდეთ მის აღდგომის დღეს“. დღეს სიკეთემ ბოროტება დაამარცხა, სიცოცხლემ — სიკვდილი, მაშ ვიზეიმოთ ყველამ ერთად ეს ბრწყინვალე დღესასწაული.

## ერთსთვის აღსდგა! შემარიტად აღსდგა!


ეკატერინე ცირიკაშვილი

## ცხვ

- 16.03** წმინდა იოანე ოქროპირი ქათოლიკოსი (1049)
- 25.03** საქართველოს სამოციქულო მკლუსიის აღწყუნის დღე (1917)
- 25.03** წმინდა შეფეხურე თავდადებული (1289)
- 29.03** წმინდა ამბროსი ალესარებული - სრულიად საქართველოს ქათოლიკოს პატრიარქი (1927)
- 07.04** ხარება ყოვლადწმინდა ღვთისებრობისა და მარწინის ქალწულისა
- 12.04** ბჭობა

- 14.04** ღირსი შაშბა იოანე შავთელი და ეპლობი წინასწორშეცემული-სილის, თამარ მეფის თანამედროვე (XIII)
- 19.04** ბრწყინვალე პლიურმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს
- 23.04** წმინდა დედანი და შაშბანი. ქვაბდახვევის მონასტერში წამებულზი ქაშთა თემურლენისა (1386)
- 27.04** წმინდა დიმიტრი ყიფაბანი. სამშობლოსათვის წამებული (1807)
- 30.04** წმინდა ეფრემ დიოდო. შარწყვერული (IX)

## ჩეკინი სტუმარია ბუბა პიპაბიძე



კინემატოგრაფის 100 წლისთავთან დაკაუშირებით, 1996 წელს, მსოფლიოში აქამდე არსებულ ფილმთაგან ასი საუკეთესო შეირჩა. მათ შორის ერთ-ერთი არის გია დანელიას „არ იდარდო“. ფილმი 1969 წელს გადაიღო „მოსფილმში“ გია დანელიამ. სცენარის ავტორი (გადმომქართულებული) რეზო გაბრიაძე, ოპერატორი ვადიმ იუსოვი და ყველა მსახიობი, ვინც ფილმშია დაკავებული, თავიანთი საქმის დიდოსტატები არიან. რამდენჯერაც უნდა ნახო, იმდენჯერ ცრუმლითა და სიცილით შეზებული გრძნობა გეუფლება. ფილმზე მუშაობის პერიოდის გახსენება ვთხოვთ ბენჭამენის როლის შემსრულებელს **გია დანელიას**:

## “სმრბო ზაქარიაძე რომ დაგი- ნახ, მუხლები ამიგანგალდე”

- გია დანელიას ბევრი მსახიობი ჰყოლია გასინჯული ბენჭამენის როლზე. ბენჭამენ ღლონტი სცენარის მიხედვით წითელი, მსუქანი, ღაუღაუა, მსელი კაცი იყო. ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, გამხდარი და შავგვრემანი კაცი როგორ შეიძლება აერჩიათ ამროლისთვის. როგორც ვიცი, დეიდამისს, ვერიკო ანჯაფარიძეს ურჩევია, ბუბა კიკაბიძე გასინჯოსო. მოსკოვიდან რომ დამირეკეს, დიდად არ აღვთროვანებულგარ. გია დანელიას გვარი რომ მიხსენეს, მივხვდი - „სერიოუს“, „ოცდაცამეტის“ რეჟისორზე იყო ლაპარაკი. მითხრეს, მოსკოვიდან ჩამოვა ჯგუფი, თქვენი ნახვა უნდათო, თუმცა რეჟისორი თავიდანეე ჩემს წინააღმდეგ ყოფილა განწყობილი (უკვე 30 წელიწადზე მეტია, მე და გია ვმეგობრობთ და კარგად ვიცი, არ უყვარს, როცა უუბნებიან, ეს ან ის კაცი აიყვანეო). გადამღები ჯგუფის წევრები ჩამოვიდნენ და სასტუმრო „საქართველოში“ დაბინავდნენ. დილით ადრე მივედი - ერთი გამხდარი ბიჭი ვიყავი, გახეხილი ჯინსები მეცვა.

სასტუმროში უსიმპათიო კაცი დამხვდა... ეტყობა, ბოტკინი ჰქონდა გადატანილი და სახეზე კვითელი ფერი ედო (ახლა ავტობიოგრაფიულ წიგნს ვწერ, იქ ერთი თავი გიას ქება... მასზე ასეთ ფრაზას ვწერ: “Мужчина желтого цвета”), განუწყვეტლივ წერდა და არ იღიმებოდა. მითხრა, აბა, დაიყვირეო. სასტუმროში ვიყავით, აღრიანი დილა იყო, ვუთხარი - როგორ დავიყვირო, ხალხს სძინავს-მეთქი... რაღაცები მელაპარაკა. ვერაფერი გავიგე. შევაწყვეტინე, ლრო არ მაქვს-მეთქი. ავდექი და წამოვედი. თუ დაგვჭირდებით, გაგაგებინებოთ. გავიდა სამი დღე, ისევ დამირეკეს... გია დამელაპარაკა, წამომყევი, სტუმრად მივდივარო. აქეთ-იქით თრევა რომ დამიწყო, მერე მივხვდი, მაგისი სინჯვები ვა იყო. ერთი თვე მატარა აქეთ-იქით. ბოლოს ვუთხარი

- გასტროლებზე წასვლას ვაპირებ, თუ რამე გინდათ, მითხარით, მოგწონართ თუ არა-მეთქი...

ერთი სიტყვით, დაინიშნა გადაღება, ნიშნობის სცენა უნდა გადაგველო.

სერგო ზაქარიაძე რომ დავინახე, მუხლები ამიკანკალდა, ქუჩაში რომ დავინახავდი, ისე ვუყურებდი, როგორც ღმერთეცს. გადავიღეთ კადრები, დამიძახა სერგომ (ესტრადიდან მიცნობდა უკვე), რა ბედნიერი ხარ, იცი, ბუბა, კამერას ვერ გრძნობ. მე კი როგორც ჩართავენ, ვღელავო. სულ უკაყოფილო იყო, ყველა დუბლის თავიდან გადაღებას ითხოვდა. არადა მის თამაშს გადაკეთება არ სჭირდებოდა.

გადაღების შემდეგ თურქეთში წავედი. „ორერას“ კონცერტები დიდი წარმატებით მიღიოდა. უცებ მოვიდა დეპეშა - სასწრაფოდ გამოცხადდით საბჭოთა კავშირის საელჩოში, სტამბოლშით. შევშინდი, რამე ხომ არ მოხდა-მეთქი. იქ დეპეშა დამხვდა... „მოსფილმის“ დირექტორი პოზნერი (ჟურნალისტ ვლადიმირ პოზნერის მამა) მწერდა - გილოცავთ, „არ იდარღოში“ მთავარ როლზე დამტკიცებასო.

## - როცა სცენარის გაეცანით, მოგწონათ?

- სცენარი რომ წავიკითხე, ვთქვი, ამ როლს ვერ ვითამაშებ-მეთქი. ბენჯამენი ჩემს ხასიათს არ ესადაგებოდა. ამიტომ გაიმართებოდი სცენარი გადააკეთა. გადაღებებისას იმპროვიზაციის საშუალებას გვაძლევდა. გია დანელია იყო ერთადერთი რეჟისორი, ვისთანაც როლი არ მისწავლია ზეპირად. მთელი ფილმი თამაშ-თამაშით გადავიღეთ.

- „არ იდარღოში“ ყველა მსახიობი ბრწყინავს, ეპიზოდური როლების შემსრულებლებიც შესანიშნავად თამაშობენ...

- გიას კარგი ალლო აქვს მსახიობის არჩევაში, ამასთან, მისი იუმორი სულ სხვაა, შეიძლება ერთი სიტყვა მოისმინო მის ფილმში და დიდხანს იცინო... გახსოვთ, როგორ იწყება ფილმი? ვირი რომ მოჰყავს კაცს და მეუბნება, შენზე კარგი ვინ დაჯდებაო ამაზე

- მია საშა კუპრაშვილი უკვე აღარ არის ცოცხალი. არადა, რა ადამიანი იყო, როგორი მსახიობი! გადასაღებ მოედანზე 2-3 საათით ადრე მოდიოდა სერგო ზაქარიაძე, იმ ადგილას ტრიალებდა. ძნელი იყო სერგო ზაქარიაძესთან მუშაობა, თეატრის მსახიობი იყო და „სხვანაირად“ თამაშობდა.

ვმეგობრობდი ბატონ კოტე დაუშვილთანაც. უბრალო კაცი იყო ცხოვერებაში. ვინც უყვარდა, ყველას მამუკას ეძახდა. სხვანაირი კაცი იყო, ტრადიციული ქართველი. გახსოვთ გამოსათხოვარი ქეიფი? კიტრის ბოლო რომ აქვს ჩაწებებული წარბებს შორის, ისიც კი უხდება.

იპოლიტე ხვიჩახაზე გიას აქვს ნათქვამი - სხვაგან რომ ყოფილიყო, სახელმწიფოს სახედიქცეოდაო. ბაეშვერი

ხასიათი ჰქონდა იპოლიტე ხვიჩახას, ამყოლი, ცელქი იყო. ერთ დღეს სასტუმრო „საქართველოსთან“ გვქონდა შეზვერა, იქიდან გავდიოდით გადასაღებად, დავინახე ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ტაქსი გაჩერდა, გადმოვიდა იპოლიტე, უნდა გზა გადმოჭრას, მაგრამ მანქანები ისე მოძრაობები, ვერ ახერხებს. გავგარდი შუა ტრასაზე და ხელების ქნევით გავაჩერე მოძრაობა. დავუძახე, მობრძანდი, ბატონო იპოლიტე-მეთქი... გაიცინა, ბუბა, შენ გარდა ვერავინ მცნობსო. როგორ ვერ ცნობდნენ, მანქანებიდან სულ მოღიმარი სახეები ჩანდა, ყველა მას უყურებდა.

ჩემი ახლო მეგობარი იყო აბესალომ ლორიაც... გახსოვთ მისი ცეკვა? აღარც აბესალომია ცოცხალი, აღარც ძია სერგო, არც ძია კოტე, არც უნია ლეონოვი, ბევრი აღარ არის... ქელქის სცენას რომ ვიღებდით, სერგომ ისე კარგად ითამაშა, ავტირდი. კიდევ კარგი, კადრში არ ვიყავი.

გახსოვთ, ავტოზე სასეირნოდ რომ ეპატიუება მერაბ კოკოჩაშვილი გოგონას და მერე დავლურით რომ გადის ოთხიდან? მაგარია! ყველაფერი ზედმიწევნით კარგია.

სესილია თაყაიშვილი ჩემი კარგი მეგობარი იყო. ყოველთვის, როცა რაღაცას მივიღებდი (ან ჯილდოს, ან პირების), პირველი დეპეშა მისგან მომდიოდა. ჩემი დოდო აბაშიძე... ასეთი ნიჭიერი კაცი იშვიათია. კინოგადაღების დროს ერთხელ ტექსტი არ იცოდა. აი, იმ ეპიზოდში, ვითომ ყელში ძვალი რომ აქვს გაჩერილი და არიადნა შენგელაია ეფერება. მე ტახტის ქვეშ დავწექი „შპარგალკიტ“, იქიდან ვკარისხობდი. ერთხელ ახალი ჩამოსული ვიყავი მოგზაურობიდან, ხელზე „სეიკოს“ საათი მეეტა. დოდომ დაინახა, მაწვერეო, - მითხრა. მოვისხენი, მივეცი. დახედა და მითხრა - ზოგი ფულს აგროვებს, მე საათებს ვაგროვებო. შენი იყოს-მეთქი, ვუთხარი, გული კი გამისკდა. აუტყედა სიცილი და დამიბრუნა. სხვანაირი კაცი იყო.

## - ვვგნი ლეონოვი როგორ დაგამახსოვრდათ?

- მაშინ ყველას ეგონა, რომ უერთი ლეონოვი ლოთი იყო. ამ დროს სულ არ სვამდა. გულევთილი და წენარი კაცი იყო.

- ფრუნზიკ მკრტიჩიანის პატარა ეპიზოდი „არ იდარღოში ყველას ახსოვს... თუ იცნობდით მას ამ ფილმის გადაღებამდე?

- არა, იმ პატარა ეპიზოდის გადასაღებად რომ ჩამოიყანეს, მაშინ გავიცანი. დიდი მსახიობი იყო... ციხის ეპიზოდს მცხეთაში, სეეტიცხოველში ვიღებდით. გახსოვთ, რომ მეკითხება: ხოცებ კანფეტკუ-ო... ვიღრე გადაღება დაიწყებოდა, ტაძარს ვათვალიერებინებდი... უცებ მეუბნება - ხედავ, ეს ტაძარიც სომხებს აუშენებიათო! გავგიჟდი, რა ააშენეს სომხებმა-მეთქი?! შენდე, დამწერლობაც



- ማጋገጃውን ስርዓት እና በመሆኑ ስርዓት የሚያስፈልግ ይችላል

- „ვერის უბნის მელოდიებს” რომ ვიღებდით, ერთი სცენა გამოგვრჩა. რომ გაგვახსენდა, დეკუმბერი მთავრდებოდა. დამით გადაჭრის პეროვსკაიას

ქუჩა, გიორგი შენგელააძმ გამაფრთხილა, არ  
იბუზღუნოო. არც ვაპირებდი... „მიმინოში” ერთი  
კადრია - მე ყინულზე ვიქცევი. ისე მონდომებით  
დავგარდი, რომ ნამდვილს დამსგავსებოდა, თავი  
მაგრად დაგარტყი. ვითამაშე ბოლომდე ეგ სცენა,  
მაგრამ... რამდენიმე წლის შემდეგ რომ ტკიფილები  
დამტკიც და ბურდენკოს კლინიკაში მოჟხვდი,  
აკადემიკოსმა კონცელოვანმა მითხრა, ეს ტრავმა იმ  
დარტყმისბრალიაო..„არიდარდოშიციყოსასიფათო  
სცენები. ერთი სცენა იყო (ფილმში არ შევიდა), მე  
და გოგი ქავთარაძე რომ დუელზე წასასვლელად  
ვემზადებოდით ზედა ოთახში ჩვენ კლაპარაკობთ,  
ქვევით სოფიკოს და ბაგშვებს სძინავთ. მე უნდა ფქი  
დამერტყა, იატაკი ჩანგრეულიყო, ჩავვარდებოდი  
და თავზე დავეცემოდი მათ. ტრიუკების ოსტატის  
მოყვანა დააპირეს. არა, მე უნდა გავაკორ-შეთქი,  
დავიუინე. ჩატეხილი ფიცარი ქვემოდან ეჭირათ,  
დავარტყმდი ფქს, გაწევდნენ... სულ დაგლეჯილი  
მქონდა გვერდები.

- პრემიერის დღე განსცვა?

- პრემიერა მოსკოვში შედგა. დიდი ამბავი იყო. მერე კინოს სახლში სუფრა გაიშალა. ერთი დიდი რეჟისორი, არ მინდა გგარი ვთქვა, მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირი იცნობს, ჩემ გვერდით იჯდა. უცნაური ხმა გაფიგე. მოვიხედე... ისე დამთვრალიყო, თავი საცივში ჩავარდნოდა და რომ არ ამომქლილია, დაიხრჩობოდა.

- სახსოვრად ხომ არ დაერჩიათ რამე ფილმიდან, მაგალითად, ბოთლის გასახსნელი?

- არა, ის გია დანელიასთანაა. მაშინ ვერც  
გუბელავდი, მომეთხოვა სამახსოვროდ...

- ამ ფილმის გადაღებისას თქვენ თურმე სულ ანკობდით...

• • •

# რევოლუციური მოვინტენსი, მიგრანტი ცარკვის და სახურავის მინახუას მისამართზე მისამართზე

ივი ჩემი მამამთილია. ჩვენი იშვიათი შეხვედრუბი ფრთხოების მისი წარსულის გახსენებითა და საქართველოშე შეკითხვებით იწყება და მოვრდება. ამ წარსულში კი იძღენი საინტერესო ისტორიული ფაქტი ტივტივდება, რომ არაერთხელ გამჩნია სურვილი მისი მონათხრობი ხალხისათვის გამეცხო. თუნდაც იმიტომ, რომ მისი ცხოვრება საქართველოში ქართველი გერმანელების თუმას ეწება და იმიტომაც, რომ მის კონებაში ისე მძაფრად არის ქართველის აღამიანური ხასიათი გამოძრეწილი, რომ ხანდახან გულიც მწყდება ხოლმე, რომ ივი მწერალი არ არის.

**პეტრე დეპერშმიდტი** ციმბირში, გადასახლების დროს დაიბადა. მანამდე კი მის წინაპრებს უკვე გაელილი ჰქონდათ დიდი გზა გერმანიიდან რუსეთში, საქართველოში ციმბირამდე და კველაფრისდა მიუხედავად მაიც სჯეროდათ, რომ ოდესაც ოცნება აუხდებოდათ და დაბრუნდებოდნენ შინ. სწორედ ამ ისტორიის, მოგზაურობების, გზაზე შემომხვდარი საქართველოს და ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების შესახებ ვთხოვ ბატონ პეტრეს მისი მოგონებები საზოგადოებისათვისაც გაენდო.



— ბატონო პეტრე, სანამ მე-18 საუკუნის გერმანელების რუსეთში მასობრივ გადასახლებაზე დაიწყებდეთ საუბარს, გთხოვთ ორიოდე სიტყვით თქვენს შესახებაც მოგვიყვით.

— წარმოშობით პეტრენიდან რუსეთში, კერძოდ ვოლგაზე დასახლებული გერმანელების შთამომავალი ვარ. 1944 წელს დავიბადე ალტაის მხარის ქალაქ კამენში. 12 წლის ვიყავი, როცა პირველად ჩამოვედი საქართველოში. 1968 წელს ვიქორწინე. გვეყოლა 3 ვაჟი მეოდი. სამწუხაროდ, მეუღლე ახალგაზრდა გარდაიცვალა. ბავშვების გაზრდაში სიდედრი დამეხმარა. 1990 წელს დიდი ორჭოფობისა და ფიქრის შემდეგ ჩამოვედი გერმანიაში, სადაც მხოლოდ რამოდენიმე წელი გაეძლი და შემდეგ ესპანეთში გადავიდი საცხოვრებლად.

— ძელია ესპანეთიდან წარსულში დაბრუნება, მაგრამ ეტყობა მაშინაც გადასახლებების ბუმი იყო ვეროპაში, ოღონდ პირიქით დასავლეთიდან აღმოსავლეთში. ხომ ვერ გვეტყოდით რას ისესენებდნენ თქვენი წინაპრები ამ მოვლენასთან დაკავშირებით?

— თავისთავად მიგრაციებს ერთი მთავარი მიზეზი წარმოშობს. ეს ქვეყანაში გამეფებული ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური თავისუფლების შეზღუდვა. წინათ ამას ემატებოდა გაუთავებელი ომებიც. იმ დროს, როცა უმრავმა გერმანელმა საკუთარი სამშობლო დატოვა, ქვეყანაში ისეთი წარმოუდგენელი პრობლემაც არსებობდა, როცა თავად ადგილობრივი ხელისუფლება ჩარეული იყო გერმანელი ჯარისკაცების ამერიკაში გაყიდვის პროცესში. იმ პერიოდში ხშირი იყო შიმშილობის წლებიც. ხალხის საყოფაცხოვრებო პირობები აუტანელი ხდებოდა. სწორედ მაშინ რუსეთის

ტახტზე ავიდა წარმოშობით გერმანელი, პესენის პრინცესა ეკატერინე მეორე. 1763 წელს მან გამოსცა მანიფესტი, რომლითაც უცხოელებს ეპატიუებოდა რუსეთის იმპერიაში აუთვისებელ მიწებზე დასასახლებლად. ამავე მანიფესტით იგი ჩამოსულებს დიდ შეღავათებს სთავაზობდა, ათავისუფლებდა ყოველგვარი გადასახადებებისა და სამხედრო ვალდებულებებისაგან. ამ მომხიბვლელი დანაპირების გამო გერმანიის სხვადასხვა კუთხებიდან უამრავი ადამიანი აიყარა და რუსეთისაკენ გაემგზავრა. მასობრივი გადასახლებები თითქმის საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. გერმანელი ხალხის შრომისმოყვარეობის გამო მალე მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა. განსხვავებები გერმანულსა და რუსულ სოფლებს შორის თვალშისაცემი გახდა. შენდებოდა გერმანული ქარხნები, ეკლესიები, გიმნაზიები, ინსტიტუტები. სამწუხაროდ, ყველაფერ ამას ადგილობრივი მოსახლეობის შერიდან საშინელი შური მოჰყვა, რომლის ნიადაგზეც გერმანელებს „სამუდამო პრივილეგიები“ ჩამოერთვათ. 1871 წლიდან მათ უწესებენ სამხედრო სამსახურს, ართმეტენ მიწის საკუთრების უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ პირველ მსოფლიო ომის დროს მეფის რუსეთის არმიაში 300000 გერმანელი მსახურობდა მათდამი ზიზდი მაინც განუსაზღვრელი იყო. ამის ნიადაგზე გერმანელებმა დაიწყეს რუსეთიდან გადინება. ძალიან ბევრი გაემგზავრა ამერიკაში, ბევრიც რუსეთის გარე პროვინციებში.

— ბატონო პეტრე, თქვენი ოჯახი როდის ჩამოვიდა საქართველოში და რა იყო კონკრეტულად ამის მიზეზი?

— როგორც ჩანს ჩემმა წინაპრებმა გაუძლეს მეფის რუსეთის გამგაცრებულ კანონებს გერმანელების მიმართ, მაგრამ ისინი უკვე ვეღარ გაუმკლავდნენ კომუნისტებს. ჩემი ბაბუა საკმაოდ განათლებული ადამიანი ყოფილა. რამოდენიმე ენა სცოდნია, ბევრს მოგზაურობდა. მას შემოუტანია ამერიკიდან პირველი ტრაქტორები ვოლგაზე. შემდეგ რუსეთ-იაპონიის ომში გაუწვევიათ, იქიდან ფეხით დაბრუნებულა სახლში, მაგრამ მალევე გარდაცვლილა. ბებია დარჩენილა 8 შვილით. მართალია, ეკონომიკური თვალსაზრისით მას არაფერი უჭირდა, მაგრამ თანდათან სწორედ ეს ფაქტი ხდებოდა მისთვის სახითათ. ერთ საღამოსაც ბებიასთან მისულა მისი ძველი მოსამსახურე, რომელსაც კომუნისტობა მიეღო და უთქვამს; ხვალ შენთან აქვთ დაგევმილი კომუნისტებს მოსვლა და ციმბირის სტეპებში გიპირებენ გადასახლებასო. იმ ღამესვე ჩამჯდარა ბებია ნავში და ვოლგის დინებას სამხრეთისაკენ გამოჰყოლია. რამოდენიმე თვე დასჭირდა ბაქომდე

ჩასვლას. გზაში 3 შვილი დაეღუპა, ბაქოშიც ერთი მოუკვდა. გაღატაკებული და გაუბედურებული ქალი წელზე ფქს იდგამდა, რომ ორიოდე კაპიკი ეშოგა და თბილისისაკენ წამოსულიყო.

— რატომ თბილისში? იქ მას ვინმე ელოდებოდა?

— ნათესავებიდან არავინ. იგი მალიან მორწმუნე ქალი იყო და გაგებული ჰქონდა, რომ თბილისში დიდი კათოლიკური ეკლესია არსებობდა და იქ ჩასული გერმანელებიც ქამოფილები იყვნენ.

სწორედ მასავით გამოცეულ ხალხს შეუერთდა ბებია თბილისში, რომლებიც მაშინ დიდუბებსა და „პლეზანოვზე“ ცხოვრობდნენ. შემდეგ კი, როცა შვილები წამოიზარდნენ სახლი ააშენეს ლოტკინის მთაზე. მამაჩემმა დაქორწინება თბილისში მოასწრო, იქვე ეყოლა 2 შვილი, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ კალავ გასაჭირო დაუდგათ და 1941 წლის სექტემბერში ციმბირში გადასახლებას მაინც ვერ აცდნენ.

— როგორც ვიცი გერმანელების უმრავლესობა ციმბირიდან საქართველოში აღარ დაბრუნებულა, რადგან მათ უკვე ყაზახთის აუთვისებელ მიწებზე ეპატიუებოდნენ. თქვენ კი ისევ საქართველოში დაბრუნდით.

— 1955 წელს მიღებული ამნისტიის საფუძველზე გერმანელებს მიეცათ უფლება დაეტოვებინათ ის ადგილები, სადაც იძულებით იყვნენ გადასახლებულები, თუმცა იმ აუცილებელი პირობის დაცვით, რომ იქ აღარ დაბრუნდებოდნენ, საიდანაც წამოვიდნენ, რადგან აღარ მოეთხოვათ ძელი სახლ-კარი. სწორედ მაშინ შესთავაზეს ხალხს შუა აზიის რესპუბლიკებში წასვლა.

მიუხედავად ამისა, მამაჩემს ეყო გამშედაობა და გადაწყვიტა ისევ საქართველოში დაბრუნებულიყო. შინაგანად სჯერდა, რომ მას, როგორც ინგალიდს (შედევლობის დაქვეითების გამო) და 9 შვილის მამას თანაგრძნობას გაუწევდნენ. საბედნიეროდ, ეს ასეც მოხდა. ცხადად მახსოვის ის დღე, როცა ერთხელ მამა ოთახში შემოვიდა და გვითხრა, დამთავრდა ჩვენი წვალება, მალე საქართველოში მიღიართო. საქართველო რუსულად თქვა – გრუზია. მე ეს სიტყვა ვერ დავიმახსოვრე და მეორე დღეს მასწავლებელმა, რომ მკითხა სად მიდიხაროთ, მხრები ავიჩეჩე, მგონი კუკურუზზიაში-მეთქი.

საქართველოში თებერვალში ჩამოვედით მატარებლითმოვდიოდით დასავლეთსაქართველოს მხრიდან შემოვედით. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, პირველად ვხედავდი ზღვს, პალმებს, აყვავებულ ხებილს, ქვით ნაშენებ ეკლესიებს.

გარშემო ჩვენთვის უჩვეულო სითბო იდგა, ისეთი იქ რომ ზაფხულშიც გვენატრებოდა. 12 წლისამ პირველად ვჭამე ვაშლი.



რა თქმა უნდა, მამა ლოტკინის მთას არ გაკარებია. ახალი სახლის აშენებას ბავებში შეუდგა. სწორედ აქედან დაიწყო ახალი ცხოვრება ჩემთვის და ჩემი და-ძმებისათვისაც. წარმოუდგენელი და სასიამოვნო იყო ჩემთვის ის თბილი დამოკიდებულება რომელსაც მეზობლები, მასწავლებლები იჩენდნენ. პირველად, როცა სკოლაში მივედით ქართული არ ვიცოდით, მაგრამ მაინც თბილად გვეპყრობოდნენ. „შვილო, რატომ არ გააკეთე დავალება?“ - გვეტყოდა ხოლმე მასწავლებელი და თავზე გადაგვისმევდა ხელს. არადა ციმბირში, როცა რუსულად ჟ-ს მაგივრად შ-ს ვიყენებდით და სხვა ასოების გამოთქმაც გვიჭირდა პედაგოგები სამინლად გვცემდნენ. პირდაპირ გვეუბნებოდნენ ძალლის ენაზე ნუ ლაპარაკობთო. ფაშისტების ხომ ყოველ წესის გვეძახდნენ. საქართველოში კი 33 წლის განმავლობაში ეს სიტყვა მხოლოდ ერთხელ დამიძახეს – ისიც რუსმა.

– ბაზონო პეტრე, თქვენ იმ თაობის წარმომადგენელი

— ბატონი პეტრე, თქვენ იმ თაობის წარმომადგენელი

გერმანიით

თავიდანვე არ აღვთოოვანებულგარ. ის, რასაც  
იქ მთელი ცხოვრება გავურბოდით, აქ გავხდით. უცებ  
რუსებად მოგვნათლეს. თუმცა, ამათიც მესმის.  
გასაგებია, ამ წნის მანძილზე ჩვენც შევითვისეთ იმ  
ხალხის კულტურა სადაც ვცხოვრობდით. მე დღემდე  
თავს კავკასიის მოტრფიალედ გთვლი.

არსად მთელ მსოფლიოში არ მეტყველება  
კავკასიურ სამხარეულოზე გემრიელი კერძები,  
ვერსად ვერ მივაგენი თონის პურს, გუდას, სულგუნს.  
კლიმატური პირობებითაც ვერ შევვაუ ჩემს  
ისტორიულ სამშობლოს და ესპანეთში გადავედი.  
იქაურობა საქართველოს მაგონებს. ამ სიბერეში  
ბაჟშვილის წლებს ვითსენებ და ანდალუზიის მიწაზე  
ახალ ბაღებს ვაშენებ საქართველოდან ჩამოტანილი  
გაზითა და ხეხილით.

## ნინო ცხომელიძე-დეპუტატშილტი

დაბადების დღი:

[gartuli@satvistomo.de](mailto:gartuli@satvistomo.de)

# სტაციონარული განვითარების უნივერსიტეტის საცოვლებელი მუზეუმი



გასულ წლებში გერმანიის უმაღლეს სასწავლებელში მიუხედავად სწავლის მსურველთა დიდი რაოდენობისა, არაურთი სასწავლო ადგილი დარჩა დაუკავებული. შექმნილი ქაოტური მდგომარეობის გამოსასწორებლად, მომავალში გერმანიის უნივერსიტეტებში სწავლის მსურველებმა ადგილის მისაღებად ყველა ფედერალურ მიწაზე ერთსა და იმავე დროის შუალედში უნდა შეიტანონ განაცხადი ინტერნეტ-ბირჟის მეშვეობით. ეს გახლავთ ის გამოსაყალი გარდამაყალი პერიოდისათვის, რომელზეც 3 მარტს ბერლინში ფედერალური მთავრობა, მიწები და მათი უმაღლესი სასწავლებლები შეთანხმდენ. ამ გადაწყვეტილების თანახმად, 2009/2010 წლის ზამთრის სასწავლო სემესტრისათვის საბუთების მიღება მთელი გერმანიის მასშტაბით 15 ივლისს დასრულდება.

მათ, ვისაც იმ ფაკულტეტზე სწავლა სურთ, რომელზეც მიღება შეზღუდულია (Numerus Clausus), საბუთები კვლავინდებურად, პირველ რიგში, სასურველ უნივერსიტეტებში უნდა შეიტანონ. უმაღლესი სასწავლებლები კი მსურველებიდან გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით, მათი აზრით, საუკეთესოებს ამოარჩევნ. ქვენის მასშტაბით მონაცემთა გადამოწმება-შედარების საშუალება უზრუნველყოფს იმას, რომ საბუთების რამოდენიმე უნივერსიტეტში შეტანის შემთხვევაში არ მოხდება ერთი პირის ორ ან მეტ სასწავლებელში

იმატრიკულირება, რასაც აქამდე ხშირად ჰქონდა ადგილი. ახალგაზრდებს, რომლებიც აგვისტოს შუა რიცხვებამდე უნივერსიტეტიდან დადებით პასუხს გერ მიღებენ, სექტემბრის დასაწყისიდან საშუალება მიეცემათ ინტერნეტ-ბირჟის მეშვეობით შეიტყონ თუ სად დარჩა სასწავლო ადგილები და პირდაპირ იმ უნივერსიტეტს მიძაროონ.

„ყველა უმაღლესი სასწავლებელი ვალდებულია ამ ცენტრალურ პროგრამაში მიიღოს მონაცილეობა“ - ამბობს ანდრეას კელერი, ექსპერტი უმაღლეს სასწავლებელთა დარგში, რომელიც დიდი ხანია საბუთების მიღების ცენტრალიზაციას უჭირს მხარს - „მხოლოდ მოწოდებებმა არაფერი მოგვიტანა, რადგანაც ყოველთვის გამოჩნდებოდა ხოლმე ესა თუ ის უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც საკუთარი წესის დამკაიდრება სურდა“.

2008/2009 წლის ზამთრის სემესტრში ათასობით სასწავლო ადგილი დარჩა დაუკავებელი. ეს გამოიწვია იმან, რომ აბიტურიენტებმა ბევრ უნივერსიტეტი პარალელურად შეიტანეს განაცხადები, ადგილებიც რამოდენიმეგან მიიღეს და სემესტრის დასაწყისისათვის უარი განაცხადეს მიღებულ ადგილებზე. „ჩვენ გარდამაგალი ეტაპისათვის გამოსავლის ძიებაში კონსენსუსს მივაღწიეთ“ - განაცხადა ქვეყნის განათლების მინისტრმა შეზედრაზე, რომელსაც 16 ფედერალური მიწის 40 უმაღლესი სასწავლებლის რექტორი,

კულტურის სამინისტროსა და უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა გაერთიანებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეთანხმების თანახმად, 2011/12 სასწავლო წელს ადგილების განაწილებაში უნივერსიტეტებს სპეციალური სააგენტო დაქმარება. ფედერალური მთავრობა 10 მილიონ ევროს გამოყოფს ამ სააგენტოს ჩამოყალიბებისათვის.

„ჯერ-ჯერობით ძნელი სათქმელია თუ რა როლს ითამაშებს სასწავლო ადგილების განაწილების ცენტრალური სამსახური ამ ახალ პროცესში. ერთი კი ნათელია, დღევანდელი ფორმით იგი აღარ იარსებებს.“ – აღნიშნა განათლების მინისტრმა შავანძა და დასძინა, რომ ახლად დამტკიცებული სისტემა სტუდენტთა მიღების არსებულ სისტემათა შორის კვლავ თანამედროვეა. იგი ძალაში 2011/12 სასწავლო წელს შევა. მანამდე კი ადგილების გადანაწილება გარდამავალი პერიოდისათვის შემუშავებული წესით მოხდება. კულტურის სამინისტროსა და უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა გაერთიანებები იბრძოლებენ იმისათვის, რომ საკითხის ამგვარ ცენტრალიზებულ გადაწყვეტას ყველა უმაღლესი სასწავლებელი შეუერთდეს. ქალბატონი შავანი აცხადებს, რომ იგი პატივს სცემს უმაღლეს სასწავლებელთა ავტონომიას და ახალი სისტემით წესრიგისა და გამჭირვალობის მიღწევა სურს სტუდენტთა სასიკეთოდ.

**როგორი იქნება უმაღლეს სასწავლებელში საბუთების შეტანის ახალი სისტემა?**

### საბუთების მიღება:

დაინტერესებულმა პირმა საბუთები 15 ივლისამდე (ეს თარიღი მოქმედებს მთელი გერმანიის მასშტაბით) მხოლოდ და მხოლოდ ინტერნეტით უნდა გააგზავნოს სასურველ უნივერსიტეტში. განაცხადის გაგზავნა ჯამურად თორმეტ სხვადასხვა სასწავლებელში ან სხვადასხვა ფაქულტეტზე იქნება დაშვებული.

### უმაღლესი სასწავლებლების არჩევანი:

უმაღლესი სასწავლებლები მიღებული განაცხადიდან, როგორც უკვე აღინიშნა, საკუთარი კრიტერიუმებით თვალითვის სასურველ ახალგაზრდებს ამოარჩევენ. მათ აგვისტოში შეუარსებელი და მოქმედი საბუთების მიღებისა და ადგილების განაწილების ვადის გასვლის შემდეგ, დარჩენილი ადგილების განაწილება ინტერნეტ-ბირჟის მეშვეობით მოხდება. გარდამავალი ეტაპისათვის უმაღლეს სასწავლებლებს დარჩენილი ადგილების განაწილებაში დახმარებას დორტმუნდში არსებული ცენტრალური სამსახურიც სთავაზობს.

### ნინო ხაბელაშვილი



### ადგილის მიღება:

შემოთავაზებაზე დათანხმების ანუ ადგილის მიღების შემდეგ სწავლის დაწყების მსურველი ავტომატურად ამოიშლება ყველა სხვა სიიდან და სიაში მის უკან მყოფი აბიტურიენტი, შესაბამისად, წინ გადაინაცვლებს.

### დარჩენილი ადგილების გადანაწილება:

სექტემბრის დასაწყისიდან თვის შუა რიცხვებამდე ხელახალი გადამოწმების პროცესი დაიწყება. ამ პროცესში განხილული იქნება მათი საბუთები (სურვილის შემთხვევაში), ვისაც უნივერსიტეტიდან დაღებითი პასუხი არ მოსვლია და ამავე დროს მიღება მათი საბუთებიც, ვისაც აქამდე განაცხადი არ გაუკეთდება. აქ არჩევანი შესაბამის ფედერალურ მიწაზე არსებული წესის მიხედვით გაკეთდება.

### უმაღლეს სასწავლებელთა მონაწილეობა საბუთების მიღებულ ცენტრალიზებულ სისტემაში:

კულტურის სამინისტროები, ფედერალური მთავრობა და უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა გაერთიანება იმედოვნებს, რომ როდესაც ეს ახალი სისტემა ამუშავდება, მასში მონაწილეობას გერმანიის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ყველა უმაღლესი სასწავლებელი მიღებს. ექსპერტების აზრით, ეს ერთადერთი საშუალებაა იმისა, რომ რამოდენიმე ადგილას განაცხადის გაკეთების შემთხვევაში, თავიდან აცილებულ იქნას ერთი სტუდენტის პარალელურად ორ ან მეტ სასწავლებელში ჩარიცხვა. თუმცა კი, კულტურის სამინისტროები იმასაც აღნიშნავენ, რომ არ სურთ უმაღლეს სასწავლებლებს ამ პროცესში მათი ნების საწინააღმდეგოდ ანუ კანონის ძალით მიაღებინონ მონაწილეობა.

### გარდამავალი პერიოდი:

წელს და მომავალ წელს კი, ყველა ფედერალურ მიწაზე მოქმედი საბუთების მიღებისა და ადგილების განაწილების ვადის გასვლის შემდეგ, დარჩენილი ადგილების განაწილება ინტერნეტ-ბირჟის მეშვეობით მოხდება. გარდამავალი ეტაპისათვის უმაღლეს სასწავლებლებს დარჩენილი ადგილების განაწილებაში დახმარებას დორტმუნდში არსებული ცენტრალური სამსახურიც სთავაზობს.



# “ პერვანის გეგმები ”

ძვირისხმო მიერადეს.

ეს ნახული რამდენიმე თვეს 6-ის ჩამოცვერის ხელში. მას 6-ს გიორგის მოედო ჩატარება, ხელი ნიშნების და სასტოს ერთოւრი კვადაგების ხელში გადასახლება. მას 6-ს გიორგის მოედო ზემოთ დასახლება, ხელი ნიშნების და სასტოს ერთოւრი კვადაგების ხელში გადასახლება. მას 6-ს გიორგის მოედო ზემოთ დასახლება, ხელი ნიშნების და სასტოს ერთოւრი კვადაგების ხელში გადასახლება.

ունիցեած մաս - ծագութեան և զարգացման մասին հայոց պատմութեան մասեան հայոց պատմութեան մասը:

მთავარია, დეტის წინაშე იყო კაცი მართალი, დანარჩენი მეორებარისხოვნია. მე არ ვემორჩილები ადამიანების მოგონილ ყველა წესს. რაც მისაღები არ არის ჩემთვის, მას არასდროს გავაკეთებ. არც ახლა ვიცავ შესავლის დაწერის წესებს, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ სიმართლეა, არაფერი მიმატებული არ მაქვს, პირიქით, ყველაფერს დაწვრილებით ვერ ვიხსნებ. შეგნებულად შეცვლილი მაქვს იმ მებრძოლთა სახელები, ვინც ცოცხალი გამოვიდა ბრძოლის ველიდან, ხოლო ვინც გმირულად დაიღუპა, მათი ნამდვილი სახელები და გვარები მიწრია.

ღმერთმა აკანონს სამშობლოსთვის თავდადებულნი.

ცამეტი წელი ვფიქრობდი დამეწერა თუ არა  
სიმართლე და გადავწყვიტე, დამეწერა. მინდა ჩემმა  
შვილმა შეაფასოს ის, რაც მე გავაკეთე, საკუთარი  
თავის შეფასებისას, ვფიქრობ, რომ მართალი ვარ,  
სხვაგარად ვერ მოგიქცეოდი — „სჯობს სიცოცხლესა  
ნაძრახსა სიკლილი სახლოვანი“.

თუ შევიდობიანად ვერ მოხერხდა აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება, მე კვლავ ავიღებ იარაღს ხელში, რამდენი წლისაც არ უნდა ვიყო და სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებ საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის. არ მინდა ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, საქართველოს შეილებს ნაწილ-ნაწილ დაგლეჯილი საქართველოს დაუტოვო. დავით აღმაშენებლის საქართველოს ისე არ გასწირავს ღმერთი, რომ იმდენი ვაჟკაცი არ აჩუქოს, რამდენსაც არ დაენანება სამშობლოსთვის თავგანწირვა.

ქართველნო, გვფარავდეს ღმერთი! არ გვინდა სხვისი მიწა-წყალი, მაგრამ ჩვენი რაც არის, ის უნდა დავიძრუნოთ, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის გაღება დაგჭირდეს. ამის უამრავი მაგალითი გვაქვს ახლო და შორეულ წარსულში, რაც ყველა ნამდვილმა ქართველმა ბრწყინვალედ იცის.

როცა მეგონა დამთვრდა ომი, მაშინ დაიწყო მხოლოდ. ის რაც “პერემერიამდე” იყო, ტექილ სიზმარს დაემგვანა და დაიწყო საშინელი, დაუნდობელი ომი ორ მოძმე, ოდითგან განუყოფელ ხალხს შორის. სხვა გზა არ იყო, ისევ უნდა ამერო იარაღი ხელში. ყველაფერი თავდაყირა დადგა, ვინ ვის ესროდა, ვერ გაიგებდი. ერთ სახლში შეიარაღებული აფხაზები იყვნენ, მეორეში - ქართველები, მაგრამ რომელ სახლში იყო აფხაზი და რომელში ქართველი, ამის გაგება შეუძლებელი იყო, რადგან სამხედრო წესები საერთოდ არ არსებობდა. “პერემერიამდე” მათ გარჩევას რაღაცნაირად გახერხებდით, რადგან უმეტესად პოზიციური ომები გვქონდა.

16 სექტემბერი - ამ დღეს მავანძა და მაგანძა არ მოისვენა და ჩვენი სისხლით და უძილობით შენარჩუნებული წინა ხაზი მზაკვრულად გადმოლახა. ატყდა განგაში, შევგროვდით ბიჭები, დავიძარით “პერემერიეს” დროს დატოვებული წინა ხაზისაკენ, მაგრამ უკვე მიახლოება შეუძლებელი იყო, რადგან ერთ მუშტად შეკრული აფხაზი, სომეხი, ჩეჩენი, კაზაკი, რუსი და, ვინ იცის, კიდევ ვინ ოხერი ჩვენს საკუთარ მამულს სარეველა ბალაზივით მოდებოდა. არ შევუშინდით, იყო მძიმე ბრძოლები, დაგველუპა თანამებრძოლები, რომლებიც მთელი ომის განმავლობაში ჩვენს გვერდით იდგნენ წინა ხაზზე, უფრო მეტიც, ერთად გავიზარდეთ და საკუთარ დედმამიშვილებში არ გარჩევდით ერთმანეთს, ღმერთმა გაანათლოს მათი სულები.

სოფუმი განუკითხაობაში ჩავარდა, არავინ იცოდა ვინ იყო ცოცხალი, არანაირი კავშირი არ არსებობდა. შეუძლისას გავიგე, ჩემი სოფელი გამაგრებული იყო დარჩენილი ბიჭებით და მიდიოდა ბრძოლები. ჩემთან ჩემი ნათესავი მამუკა იყო. ის ახალდაბელია, მისი სოფელი კი ალეაში მოუქცევიათ გადამთიელებს, ანუ მდინარე კოდორთან გახლიჩეს საქართველო. მამუკას ოჯახის წევრები ალეაში დარჩენ, როგორც ყველა ახალდაბელი. სჭირდებოდათ დახმარება, მაგრამ

საიდან? ეს კითხვა პასუხისუცემელი დარჩა.

ფიქრის დრო არ რჩებოდა, მოქმედება იყო საჭირო. გადაწყვეტილების მიღება არ გამჭირვებია: სიცოცხლის ფასად რომ დამჯირმოდა, მამუკას ახალდაბაში უნდა შევყოლოდი. მივადექით კოდორს, სადაც პოზიციური ბრძოლები მიღიოდა. გამოჩნდნენ ჩვენსავითმსურველები. ესენი იყვნენ სოფ. ესტონკიდან ოც კაცამდე, მოუილაპარაკეთ, როგორ გაგვერდვია ალყა და დაგხმარებოდით მძიმე მდგომარეობაში მყოფ თანამემამულებებს. შებნელებულზე დავიძარით ზღვის ნაპირისკენ ოცდახუთი თუ ოცდაათი კაცი, მოგძენეთ მდინარეზე გადასასვლელი ყველაზე კარგი ვარიანტი, გადავიწერეთ პირჯვარი და გადავლახეთ მდინარე, თან მიგვქონდა “ბმკ”-ის ჭურვები, ცინკებით კი ავტომატის და ტყვიამფრქვევის ტყვიები, ხელყუმბარები და აუცილებელი ატრიბუტი, რისი მორეაც შეგვეძლო. მდინარის მეორე ნაპირზე, იქვე ახლოს, ერთი ქართული შენაერთი იყო გამაგრებული სამანქანო გზის ნაპირას. ჩვენ სიმინდის ყანებში შევედით ღრმად და შუა ახალდაბისკენ ავიღეთ გეზი, მთელი გზა არ ჩერდებოდა სნაიპერის ტყვიების ზუგუნი, ჩვენ კი მივიწევდით წინ, სადაც ზოგიერთ თანამებრძოლს საკუთარი ოჯახი ელოდებოდა, რომლის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ იცოდა. ასევე იყო მამუკაც, მე ვამხნევებდი, ყველაფერი კარგად იქნება, ყველანი ცოცხლები იქნებიან და ალყასაც მალე მოვხსნით-მეთქი, ამაში მართლაც დარწმუნებული ვიყავი, რადგანაც საქართველოსთვის ეს სოფელი მნიშვნელოვანი იყო, რადგან საქართველო ახალდაბის ჩაკეტვით შუაზე იყოფოდა. თუმცა ვფიქრობდი, რომ შეიძლება ბრძოლაში დაგლუპულიყავი კიდეც. სიმართლე რომ ვთქა, ბრძოლაში დაგლუპის მეტი შანსი იყო, ვიდრე გადარჩენის, მაგრამ მამუკას მიტოვება ერთი წამითაც არ მიფიქრია. ამით ჩემს თავს დავუმტკიცე ის, რომ მართლაც შემეძლო ახლობლებისთვის საკუთარი სიცოცხლის გაწირვა, თუ ეს საჭირო იქნებოდა. ამ დროს ჩვენი სისხლი და ხორცი მტრის ტყვეობაში (ალყაში) იყო. ისინი მთელი საქართველოს იმედზე იყვნენ, მაგრამ მათი იმედები იმედებად დარჩა და მხოლოდ ჩვენ, რამდენიმე მეომარი, კერძოდ, მე, ახალდაბის გარეთ დარჩენილი ოთხი თუ ხუთი ახალდაბელი და სოფელ ესტონკისმკვიდრი მეომრები, ოცი თუ ოცდახუთი ვაჟკაცი, ვაგრძელებდით ახალდაბის შუაგულისკენ მოძრაობას, რათა შევერთებოდით ახალდაბის მკვიდრთ და დაგვეცვა ჩვენი ბავშვები, მოხუცები, ქალები და საკუთარი მამული, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი სისხლით შევინარჩუნეს. მოგძენეთ ადგილი, სადაც შეიძლებოდა გადაგვეკვეთა ცენტრალური გზა, მაგრამ ახლა დასადგენი იყო, ვინ გახვდებოდა გზის მეორე მხარეს. მოვემზადეთ საომრად. თუ

აფხაზები აღმოჩნდებოდნენ მოპირდაპირე შხარეს, მაშინ ბრძოლით უნდა მოგვეხდინა ხაზის გარღვევა, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ დაგვჭირდა, რადგან იმ მონაკვეთის მოპირისაპირე შხარეს ქართველი მეომრები აღმოჩნდნენ და ჩვენც ნაწილ-ნაწილ, გადარბენებით შეუერთდით მათ. აღუწერელია მათი თვალები, რომლებშიც ჩანდა იმედი, სიხარული, სიკეთე და დაღლილობა, რომელიც მხოლოდ ერთმა სოფელმა, კერძოდ, ახალდაბამ გადაიტანა თავის თავზე, რადგან ზუსტად ეს გმირი სოფელი, რომელშიც ცხოვრობდნენ: ლეჩჩუმლები, რაჭელები, სვანები, მეგრელები, აფხაზები და საქართველოს თითქმის ყველა კუთხის შვილები, მოაქცია მტერმა აღყაში, რათა საქართველო დაენაწილებინა.

რამდენიმე მეომარი გამოგვევა შტაბის კენ. შტაბში მისვლამდე გზაში იყო ის სახლი, სადაც ბავშვები, მოხუცები, ქალები და შეუძლო ადამიანები იყვნენ თავშეფარუბული. შევედით. შემოგვევებნენ. იქ მამუკას დედა, და, მამილები, ახლო მეზობლები იყვნენ, რომლებსაც მეც ვიცნობდი. გაუხარდათ, გაუკვირდათ, მითუმეტეს, ჩემი დანახვა, ცოტა ხანი ვილაპარაკეთ, დავაიმედე: რადგან მე შემოგვედი, ამ წუთიდან ნურაფრის ნუ შეგებინდებათ-მეტქი, გაგებუმრე და დავიძარით შტაბისაკენ, რომელიც ახალდაბის საშუალო სკოლაში იყო განლაგებული. გადავინაწილეთ ჩვენი შეტანილი ტყვია-წმალი. მათ თითქმის აღარ ჰქონდათ არაფერი დარჩენილი. რადიო-გადამცემზე გამოდიოდნენ და ყოველ წუთს პირდებოდნენ ახალდაბას დახმარებას, რომ აღყას მოხსნიდნენ, მაგრამ ეს ისტორიას ცარიელ სიტევებად დარჩა. ჩვენი გადამცემის რადიოტალღაზე აფხაზებიც გამოდიოდნენ დარუსულად ელაპარაგებოდნენ შტაბის უფროსებს, რომ ჩვენ გაყიდული და განწირულნი ვიყავით და ბევრი მსხვერპლი რომ არ ყოფილიყო, ზღვის მხარეზე ეგრეთ წოდებული “კარიდორით” გვესარებლა და დაგვეთმო უბრძოლველად: ახალდაბა, ბავშვები, მოხუცები, ქალები და ქართული მიწა, რისი პასუხიც ჩვენი მხრიდან ის იყო, რომ ჩვენ უბრძოლველად არ დავტოვებდით საქართველოს მიწის არცერთ გოჯს, რაც ომის შემდეგ ზოგიერთი გადაგვარუბული ქართველისთვის სასაცილოა დღესაც, მათთვის, ვინც დუბაით და სხვადასხვა უზოტიკეური კურორტებით ერთობოდა, როცა მე და ჩემისთანები სისხლისაგან ვიცლებოდით უთანაბრო ბრძოლაში.

გადავნაწილდით ახალდაბის ირგვლივ. მე და ჩემი მამილაშვილი და მამამისი სოხუმის მხრიდან მოვხვდით, წინა ხაზი არ არსებობდა, რადგანაც მთელი ახალდაბა აღყაში იყო და მთელი ახალდაბის ირგვლივ ბრძოლის წინა ხაზი იყო. ცენტრალურ გზასთან ერთი საგუშაგო იყო. შემდეგ საგუშაგოზე მე, მამუკა, ვახო და გონერი ვიყავით. გონერი

ბრძოლაში დაიღუპა, ღმერთმა გაანათოს მისი სული, ჩვენს შემდეგ საგუშაგოზე მამუკას მამა იბრძოდა, ისიც ბრძოლაში დაიღუპა. ღმერთმა გაანათოს მისი სული. მასთან ვინ იყო არ ვიცი, მე ხომ ახალდაბელი არ ვარ და ყველას არ ვიცნობდი. მე და გონერი სანგარში ვიყავით, მამუკა და ვახო სანგრის გვერდში მოუთავებელი სახლის პირველ სართულზე იყენენ გამაგრებული, დროდადრო ვცვლიდით ერთმანეთს, ეს იყო პირველი დღე ჩვენი შესვლიდან, ბიძიამ რამდენჯერმე მოგვაკითხა საგუშაგოზე, ფრთხილად იყავით, დაგვარიგა, არ ჩაგდებითოთ. მან მისი ოქვა, თორებ მე მთელი ომი წინა ხაზზე მქონდა გატარებული სოხუმში, (რასაც ამ ისტორიის დაწერის შემდეგ დაწერ, ალბათ), რამაც დიდი გამოცდილება მომცა, როგორ უნდა მემოქმედა დაძაბულ სიტუაციებში, დამის საათებში და ასე შემდეგ. აგრეთვე რუსის ჯარში მთელი ორი წელი სამხედრო წვრთნებში გავატარე, ომი არ იყო, თორებ ომში მეგონა თავი, მთელი ორი წელი.

სროლები არ წყდებოდა. საღამო ახლოვდებოდა, გონერის სულ ოციოლე მეტრი აშორებდა საკუთარ სახლს, მაგრამ ამ ღამის გათვაც აქ სანგარში უწევდა, რადგან მისი სახლი ჩვენი საგუშაგოს წინ იყო, სადაც მავანი და მავანი იყო გამაგრებული. მთელი ღამის განმავლობაში არ წყდებოდა ბრძოლები, ჩვენ ტყვიებს ვუფრთხილდებოდით, რადგანაც აღყაში ვიყავით და ვინ იცოდა რა მოგველოდა, არსაიდან სერიოზული დახმარება არ ჩანდა გარდა დაპირებისა, მაგრამ დაპირების მაინცდამაინც არ მეჯერა, რადგან გაგრის და სოხუმის დაღატის შემდეგ უკვე კარგად ვიცოდი მათი დაპირების ფასი, მაგრამ იმედი ბოლოს კვდებაო და მეც არ მეგონა, თუ ბოლომდე იყო განწირული საქართველოს ულამაზესი კუთხე - აფხაზეთი.

რიურაჟზე კადევ მოგვაკითხა ბიძიამ, უძინარმა, მაგრამ შეუდრეკელმა კაცმა პატიოსანმა, ყველანი გულში ჩაგვიკრა და დაგვაიმედა. ბიძია დაბრუნდა



თავის საგუშაგოზე, ბრძოლები კი გამწვავდა. ტყვიების და ნაღმებყორცის ჭურვების წვიმა მოდიოდა ახალდაბის თავზე, რასაც ტანკის და ბმპ-ის ჭურვების ცეცხლოვანი გრუხუნი აგვირგვინებდა, ჩვენ კი ერთი „ბმპ“ გვკავდა ახალდაბაში, რომელსაც მარტო ხუთი ჭურვი ჰქონდა, რა უნდა გაეკეთებინათ ასეთ მდგომარეობაში სოფელ ახალდაბის გმირებს, რომლებსაც ავტომატის ტყვიებიც თითზე დასათვლელად რჩებოდათ, ამის განსჯა მკითხველისთვის მიმინდვია.

შუადღეზე ახალდაბის შტაბიდან კაცი მოვიდა და შეგვატყობინა, რადიო-გადამცემზე დაგვიკავშირდნენ სამთავრობო შტაბიდან და ალყის გარღვევას გვპირდებიანო, აფხაზები კი გამოდიან რაციაზე, გაყიდული ხართ, მაინც აგიდებთო, - გვეუბნებიან და ზღვის „კორიდორით“ სარგებლობას გვირჩვენო, ჩვენც არ გვინდა დიდი შსხვერპლის გაღებაო, რადგან იცოდნენ ახალდაბლების სიმამაცის ამბავი, ისინი ხომ ერთად იზრდებოდნენ, ერთად იყვნენ ჭირში თუ ლხინში, მაგრამ ახლა მესამე ძალის მიერ, რომელსაც მე თამამად დავწერ, რუსების ტექნიკით და ცოცხალი ძალით ხდებოდა სოფელ ახალდაბაზე შემოტკეცი, რომლებიც ყოველ წუთს ჯოჯოხეთს ემსგავსებოდა. თავზე გვეყრებოდა ახალდაბელი კაცის შვილივით მოვლილი მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის თუ ფეხოს ყლორტები და ტოტები, ჭურვებით და ტყვიებით მოგლეჯილები. ტყვია-წამალი გვითავდებოდა.

ამასობაში მეორე დღეც მიიღია და ბრძოლა ცოტა მიწენარდა. უძალვე ბიძიამაც გადმოგვაკითხა, გაგვამნევა, თვალებში გაუკაცური სინათლე ედგა, როგორც ყოველთვის, ცოტა ხანი ვისაუბრეთ და მერე დაბრუნდა თავის საგუშაგოზე. მთელი დამე არ ცხრებოდა სროლები, უცნაური ხმები ისმოდა, ისმოდა თითქმის იგივე ხმები, როგორიც გუმისთის წინა ხაზზე. ეს ხმები ტურების ყმუილს წააგავდა და ამას ყველა ასე ვაფასებდით. ირიჟაჟა, ბუნებას არ აცალეს დამერთის დაწესებულ დროს რომ გათენებულიყო, მტრის ყველა იარაღიდან ისმოდა გრუხუნი, ტანკების ძრავების ხმაური უკვე აშკარად გვესმოდა, იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

რამოდენიმე საათის შემდეგ ცენტრალური გზის საგუშაგოდან მოირბინა ალიკამ (წმ გარდაცვლილი, ღმერთმა გაანათოს მისი სული), ტყვიები აღარ დარჩენოდა, ტანკებით მოლგომია მტერი საგუშაგოზე, მისი თანასანგრევი შტაბისკენ გაქცეულა ამბის მისატანად. ტყვიები გადავინაწილეთ, მე, მამუკა და გონერი სანგრიდან ვიგერიებდით მტერს, ვახო და ალიკა კი გვერდით მყოფი სახლის პირველი სართულიდან. ბრძოლის სიმძაფრე პიკს აღწევდა. ტყვიები გვითავდებოდა, მე თოფით ვიყვი შეიარაღებული, რადგან „პერემირიეზე“ ჩავაბარე

ჩემი ხელის ტყვიამფრქვევი. ომი დამთავრდაო, გამოაცხადეს ჩვენმა მაშინდელმა მხედაროთმთავრუებმა, შეგარდნაძის თამადობით, ალბათ, მემუარებში გმირად გამოყავს მისი და მისი თანაგუნდელების თავი. თოფი ბიძაჩემმა მიშოვა, ახალდაბაში როცა შევედი მაშინ. უცებ გონერიმ ვეირილი ატეხა: ჩემს სახლში აფხაზები არიან და აქეთ მოხოხვენო, მე სანგრის მეორე ბოლოში ვიყავი, ვერ დავინახე მტერი, ესროლე-მეთქი, მივაძახე უცებ. ლოდინის დრო აღარ რჩებოდა, მანძილი მხოლოდ სოფლის ვიწრო სამანქანო გზა რჩებოდა ჩვენსა და მოახლოებულ მტერს შორის. არ შემიძლიაო, მომაძახა. წამები წყვეტდა ჩვენს ყოფნა-არყოფნას, რადგან რუსის გაწვრთნილი მეომრები, მართალია, შემოტკეცი იყვნენ და წამებიანი პოზიცია ეჭირათ, მაგრამ მაინც ამოგველიტავდნენ, თუ არ მოვახდენდით მათ განადგურებას, უცებ გადაწყვეტილება მივიღე, გონერის ვუთხარი ავტომატზე ხელი გაეშვა და ჩემთვის ადგილი გაეცვალა, მას თოფი დაგუტოვე. როგორც კი ადგილები შევცვალეთ, უცებ ორი ბოევიკი დავინახე, გვერდით „სეტკის“ ნაპირზე მოხოხველნენ ერთმანეთის მიყოლებით, კასკები ეხურათ და შთამბეჭდავი ეკიპირებით იყენებ აღჭურვილნი, გადაწყვეტილება მივიღე ორივე ერთდროულად უნდა მომეკლა, რომ არ დაესწრო მეორეს. ეს ყველაფერი წამებში ხდებოდა, ორი გასროლა რამდენიმე წამში მოვახდინე, რის შემდეგ მათი კასკები ადგილიდან არ განძრეულან. უცებ მათ უკან, ტირიფის ხე იყო, თუ არ ვცდები, საიდანაც წამოხტა მესამე “ბოევიკი” და გაიქცა სახლის მიმართულებით. ტყვიები ძალიან ცოტა მქონდა დარჩენილი, ამიტომ “ოჩერედით” ვერ ვესროლე. სამი გასროლა მაინც მოვასწარი სახლის კარებში შესვლამდე თითო-თითო გასროლით, არ ვიცი მოხვდა თუ არა, რადგან გარბოდა. სულ ხუთი-ექვსი მეტრი იყო მისი ადგომის ადგილიდან სახლის კარამდის, არ დაცემულა, მაგრამ, ვფაქრობ, ერთი ტყვია მაინც მოხვდებოდა. ისევ გადავხედე მოკლულებს, თითო ტყვია ვესროლე კასკები, რომ დაგრწმუნებულიყვავი, მკგლრები იყვნენ თუ არა, ვინ იცის, რომ მოეგონათ სიკვდილი, ერთი ხელის მოქევით ჩამოგვიგდებლნენ სანგარში ხელყუმბარას.

## ნუგზარ მეშველიანი

(გაგრძელება მე-3 ნომერში)



ნიკო ლორთქიფანიძე

## ...ღმა ქრისტე აღსდგა მაშინ ჩემს გულში

(ამხანაგის ნათქვამიღაბ)

...იმ ცივ, დაწყველილ, ნისლიან-ბურუსიან ქვეყანაში დავკარგე სიყმაწვილე, იმედი, სულის სიმშვილე, თვალების ელგარება, აღტაცება, სიყარული და სიძულვილი. ლანდივით დავდიოდი მიღამოთა შორის, საღაც ერთხელ ყოველი ბალახი ჩემთვის ამოღიოდა და ყოველი კუკური ნეტარებით მათრობდა. ხეებს ფოთლები უკვე ხუთმეტჯერ გამოეცვალა და ჩემი სურათი სრულიად დაგიწყვბოდა. წინათ, მათ ჩრდილში რომ შევაფარებდი თავს, ფოთლები საიდუმლოებას მზის სხივებისას ჩამფუჩუნებდა და ჩიტები გულის ნადებს მიჭიქვიყებდენ. ახლა კი ვეღარ გავიგე მათი საუბარი. შრიალი ღრიალი მეჩვენებოდა და სტვენა ბულბულის - მამლის ყივილად. ერთი მე ვიყავ ფერსათვის უცხო, უსარგებლო. ქრისტე, მართლაც, ჯვარცმული იყო ჩემს გულში.

აღდგომის წინა ღამე დადგა. არავინ მყავდა არც მოსალოცავი, არც სანახავი; არც გასახსენებლად მივეშურებოლო სადმე. გადავდიოდი ერთი ქუჩიდან მეორე ქუჩაშე; ვშინჯავდი მტვერს; დიღხანს ვაცქერდებოდი ზოგიერთ გამვლელს; შევეურებდი მოწმენდილს ცას და კლაკვნით მიმდინარე რიონს. უმიზნო ხეტიალმა მთაზე ამიყანა. ძველებურალე მოღუშული ბარგატის ტაძრის ნანგრევები გადამეორბა წინ. ვარსკეგლავებით მოჭედილ ცის ლიტანის შეუერთდა ლიტანია ქვეწად და ცეცხლის წერტილები ორკეცად აციმციმდა. საზარი იყო ჯვარცმული ერის მხიარული ღაღადისი ჯვარცმული ქრისტეს აღდგომის გამო. თვალი მოვერიდე.

გავჭვი კედელს. მივარდნილს ადგილს ვიღაცა დაყრდნობოდა ნანგრევს და ლოცულობდა. გულმხურვალი და ჩუმი იყო ლოცვა; სახეს ვერ ვხედავდი მლოცველისას, მაგრამ მთელი სხეულის მოღუნება, ღრმად დახრილი თავი, გრძელი ლონდეთ დაშვებული თხა, ხელები, რომელითაც კედელს მიყრდნობოდა, მიმტკიცებდა მლოცველის ტანჯვას, სასოებას და იმედს. ორიოდე მის სიტყვას მოვკარ ყური:

„ღმერთო, აღაღგინე... ღმერთო, მკვდრეთით აღაღგინე ერი და მიეც ძალა და სიმხნე!“

შეც ნელ-ნელა დავეშვი მუხლებზე. იმედის შუქმა გააპო მკერდი... და ქრისტე აღსდგა მაშინ ჩემს გულში.

ქართული სათვისტო მონაცემთა თრიანთ  
გამოცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

Das Organ des Georgischen Vereins in Deutschland e.V.  
Herausgegeben seit Oktober 2005

ლამაზების ბაზობილი:  
ბაქონის ქართული საზოგადოებრივი

სახელაქციო კოლეგია:

ნინო ხაბელაშვილი (მთ. რედაქტორი)  
ნინო დალაქიშვილი  
ნინო ცხომელიძე-დეპპერშმილტი  
თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)

**ქართული მისამართი**

Georgischer Verein in  
Deutschland e.V.

Leri Datashvili  
Roemerhofweg 51c  
85748 Garching b. München

დაგვიკავშირდით:  
ტელ.: 0711/12 28 97 26  
ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de

ჩვენი ჰასკონიონია ამერიკაში გამომავალი ქართული გაზეთი „მამელი“